საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 18 თებერვალი. 2017 წ. №39 (8176), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უსამართლობას – საერთო-სახალხო ერა!

კრიტიკა ყველა ლექსიკონის მიხედვით არის რისამე განხილვა ღირსებისა და ნაკლის გამოსარკვევად. შენ როგორ ფიქრობ, ძვირფასო მკითხველო, ტელეკომპანია „რუსთავი-2“, რომელსაც სათავეში უდგას თვითმარქვია, ძველი ცოდვებით სავსე ხურჯინგადაკიდებული ნიკა გვარამია, ყველა სხვა ტელეარხს ყოყოჩურად დამჯობინებული ეს ტელევიზია ჩვენი ცხოვრების ღირსებისა და ნაკლის გამორკვევით არის დაგულისყურებული?! ალბათ, ჩვენი საზოგადოების საღი გონების დიდი ნაწილი ერთხმად იტყვის: არა!

ცხადზე ცხადია, რომ „რუსთავი-2“ უმთავრესად ცილისწამებით, დემაგოგიით, შანტაჟით, და უხამსი ქილიკით არის დაკავებული. ყოველივე ამას თვითონ რუსთავორელები და 2012 წელს ლახვარჩაცემული ნაციონალები თავისუფალ სიტყვად ნათლავენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრ გულუბრყვილოსა და მიამიტს აჯერებენ კიდეც.

არადა, „რუსთავი-2“-ის ანტისახელმწიფოებრივ და ანტიხალხურ პროპაგანდას არცრა საერთო არა აქვს რა თავისუფალ სიტყვასთან!

თანაც ამ აშკარად მავნე კლანურ ტელეარხს ედავებიან არა სარედაქციო პოლიტიკის გამო, არამედ იმის გამო, რომ სააკაშვილის ზეობის ჟამს იგი ყაჩაღურად წარტაცეს კანონიერ მფლობელს და თავის დროზე სხვისთვის წართმეულ ამ „ცისფერ იდეოლოგიურ არტილერიას“ დღეს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გაშმაგებული ბრძოლისთვის იყენებენ, რათა კვლავ ყაჩაღურად მოექცნენ ხელისუფლების სათავეში.

ხვალ, 19 თებერვალს, „რუსთავი-2“-ის დაგეგმილი აქციაც ამ ბრძოლის უკვე ქუჩაში გადატანილი ნაწილია.

ასე რომ, ყველა საღი გონების მამულიშვილი ქართველი, ყველა წესიერი მოქალაქე, ვისაც არ დავიწყებია და, ალბათ, არც დაავიწყდება ნაციონალების ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი, იმედია, თავს არ მოიტყუებს და საბოლოოდ შეაქცევს ზურგს მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე თავგადაკლულ უკვე რამდენიმე კლანად დანაწევრებულ ნაციონალებს.

დაე, ჩვენმა გონიერმა საზოგადოებამ თვალცხადლივ დაანახვოს ხელისუფლების ერთგვარი „დემოკრატიული სისუსტით“ გათავხედებული, სხვის ქონებას დაპატრონებული გვარამია და მის გზამართალს აცდენილ ლაშქარს, რომ ქართველი ხალხი არასდროს არ დაუჭერს მხარს აგრერიგად აღმაშფოთებელ უსამართლობას!..

„რუსთავი-2“-ის ხვალინდელი აქცია გულუბრყვილოთა მაჯაა!

SIC! მეუფე პეტრემ ბოლომდე აიშვა! ②

④ თამაში აკრძალულ ყანაში...

ანუ მთავარია დავალების შემსრულებელი

სოხუმი აფეთქების მოლოდინში, ნაცნობი „პროზა“ ცხინვალში და მდუმარე თბილისი ⑧

⑨ ჩვენი მირონ-ცხებული ხელმწიფენი

სვანების მოთხოვნა სამართლიანია ⑤

პკვლევა

ბაჩანური ჭრელუდიები

⑪

პრემიერ-მინისტრი არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალურ მდივანს შეხვდა

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მიუნხენის უსაფრთხოების 53-ე კონფერენციის ფარგლებში არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალურ მდივან აჰმედ აბულღეითს შეხვდა.

საუბრის მთავარი თემა ბოლო წლების განმავლობაში არაბულ სახელმწიფოებთან მთელ რიგ სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის, დიპლომატიური ურთიერთობების გაფართოება და ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება იყო.

გიორგი კვირიკაშვილმა საუბრისას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გააქტიურების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

პრემიერ-მინისტრმა არაბულ სახელმწიფოთა ლიგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და გენერალური მდივანი აჰმედ აბულღეითი საქართველოში მიიწვია.

ესტონეთი ევროინტეგრაციის გზაზე სრულ მხარდაჭერას გვიცხადებს

ესტონეთი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე სრულ მხარდაჭერას უცხადებს და მზადაა, ამ თვალსაზრისით მაქსიმალურად დაეხმაროს, — ამის შესახებ ესტონეთის პრეზიდენტმა კერსტი კალიულაიდმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა კერსტი კალიულაიდს ესტონეთის პრეზიდენტად არჩევა მიულოცა და ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა.

შეხვედრისას ხაზი გაესვა ორმხრივ თანამშრომლობას, პოზიტიური დინამიკის გაგრძელების აუცილებლობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წელს ესტონეთი ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა ხდება.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მისასალმებელია, რომ ესტონეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი პრიორიტეტი აღმოსავლეთ პარტნიორობის მხარდაჭერაა. პრემიერ-მინისტრმა ესტონეთის პრეზიდენტს საქართველო-ევროკავშირის სავიზო ლიბერალიზაციის დიალოგის პროცესში შეტანილი აქტიური წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

საუბრისას, ასევე ყურადღება დაეთმო ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს. გიორგი კვირიკაშვილმა ესტონეთის პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შესახებ და აღნიშნა, რომ ქვეყანაში წარმატებით ინერგება საგადასახადო სისტემის ე.წ. ესტონური მოდელი, რომელიც რეინვესტირებული მოგების — მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას გულისხმობს.

საუბარი ასევე, შეეხო ღია მმართველობის რეფორმას საქართველოში, რომელიც ესტონურ გამოცდილებას ეფუძნება და ესტონელი ექსპერტების ჩართულობით ხორციელდება.

საქართველოს პრეზიდენტი პაკისტანელ კოლეგას უსამძიმრებს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულება მამნუნ ჰუსეინს პაკისტანში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო უსამძიმრებს:

„თქვენო აღმატებულებავ,

ნება მომეცით, ღრმა მწუხარება გამოვთქვა ლალ შაბაზ ქალანდარის სალოცავში მომხდარი შემზარავი ტერორისტული თავდასხმის გამო.

საქართველო მკაცრად გმობს ტერორიზმის ნებისმიერ გამოხატულებას და საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად განაგრძობს თანამედროვე მსოფლიოს ამ უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას.

მწუხარების ჟამს, საქართველო სოლიდარობასა და თანადგომას უცხადებს პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ხალხს. ვუსამძიმრებ ტრაგიკული ვითარების დროს დაღუპულთა ოჯახებს და სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ დაშავებულებს.

თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ გქონდეთ საქართველოს მხარდაჭერისა და თანადგომის იმედი“, — აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის წერილში.

SIC! მეუფე პეტრემ ბოლომდე აიშვა!

შორენა თეთრუაშვილი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოებრიობის მტრების პოზიციას

მატროსოვის ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებისთვის გაკეთებულ კომენტარში მეუფე პეტრემ შორენა თეთრუაშვილზე მორიგი კომენტარი გააკეთა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პატრიარქის მდივან-რეფერენტი, საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს მტრების პოზიციას წარმოადგენს. რაც შეეხება ქორეპისკოპოს იაკობს, მეუფე პეტრეს შეფასებით, ის ინტრიგის უნებლიე შემადგენელი ნაწილია:

„მეუფე იაკობზე პირადად ვთქვი, რომ პატრიოტი ადამიანია, მაგრამ ის არის ასევე შემადგენელი ნაწილი ამ ინტრიგისა უნებლიედ...

დღემდე იბრძვიან ის ძალები, რომლებმაც მსგავსი მმართველობა დაამკვიდრა ქვეყანაში და ეკლესიაში. სამწუხაროდ, ამ ქალის მმართველობა დღემდე, ათწლეულების მანძილზე, ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია და ნამდვილად ამ საუკუნო პრობლემას, არსებულს ჩვენ ქართველი ერი ერთად, აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე...შორენა წარმოადგენს საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრების პოზიციას. ამაზე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ“, — აცხადებს მეუფე პეტრე.

მოსკოვი სიგნალს უგზავნის თბილისს, რომ იგი მზადაა შერიგებისთვის, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკის სფეროში მაინც

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „STRATFOR“ აბაშიძე-კარასინის შეხვედრას სტატიას უძღვნის, რომლის შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს:

გაჩნდა ახალი სიმპტომები იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ვაჭრობა გაღრმავდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთთან სავაჭრო დერეფნები ამოქმედდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლით... არის აგრეთვე ცნობებიც, რომ მოსკოვი დათანხმდა თბილისის მოთხოვნას — ტვირთების მოძრაობის მონიტორინგი სეპარატისტული რეგიონების ტერიტორიაზე საერთაშორისო დამკვირვებლების მეშვეობით განხორციელდეს. დამკვირვებლები რუსეთისა და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე შერჩეულ პუნქტებში განლაგდებიან. აშკარაა, ამ მარშრუტების ამოქმედება დადებით გავლენას მოახდენს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. ამჟამად ორი ქვეყნის ვაჭრობა 800 მლნ. დოლარს აღწევს და ამ მონაცემების მიხედვით, საგარეო ვაჭრობაში რუსეთი საქართველოს მესამე პარტნიორია. პერსპექტივაში ვაჭრობის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება: თბილისმა და მოსკოვმა ამას წინათ მიაღწიეს შეთანხმებას რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტის თაობაზე, რაც საქართველოს ენერგეტიკას მნიშვნელოვნად წაადგება.

შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დამკვირვებელთა პუნქტების გახსნა რუსეთისა და თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე მოსკოვის მიერ თბილისისადმი გაკეთებული ერთგვარი რევერანსია, რაც ადრე შეუძლებელი იყო. 2008 წლის ომის შემდეგ მოსკოვმა თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა და ის დღემდე არაა აღდგენილი, მაგრამ ახლა კრემლი, როგორც ჩანს, სიგნალს უგზავნის საქართველოს მთავრობას, რომ იგი მზადაა შერიგებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკის სფეროში მაინც.

არის იმის ნიშნებიც, რომ საქართველოში პრორუსული განწყობაც მატულობს: ბოლო გამოკითხვები მოწმობს, რომ დღეს ევროინტეგრირებას მხარს მხოლოდ მოსახლეობის 53% უჭერს, ანუ გასულ წელთან შედარებით 10%-ით ნაკლები, ხოლო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას — დაახლოებით 31%, ანუ 10%-ით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

გარდა ამისა, თავის მხრივ თბილისიც ცდილობს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ხისტი დამოკიდებულების შერბილებას: შევიდა ცვლილება კანონში, რომლის თანახმად, თბილისის უნებართვოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლა (უმეტესად, რუსებისა) სასამართლო წესით კი აღარ დაისჯება, არამედ ჯარიმებით.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა აშკარად პროგრესირებს იმ დროს, როცა გეოპოლიტიკური სიტუაცია იცვლება. ევროკავშირში განხეთქილება მატულობს. აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია მზადყოფნას აცხადებს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, ამიტომაც ბევრი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისათვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც, მოსკოვთან დამოკიდებულების გადახედვა სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება.

„Stratfor“ (აშშ)

გიორგი გახარია: მნიშვნელოვანია, რომ მეტმა თურქულმა და აზერბაიჯანულმა კომპანიამ გამოიყენოს ყველა ის უპირატესობა, რასაც ჩვენი ქვეყანა სთავაზობს

„თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მეზობელმა ქვეყნებმა გამოიყენონ ერთმანეთის პოტენციალი საკუთარი ხალხის კეთილდღეობის გასაზრდელად“ — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ სტამბოლში, საქართველო-თურქეთ-აზერბაიჯანის სამმხრივი ბიზნესფორუმის მონაწილეებს. მინისტრის განცხადებით, მსგავსი ფორმატის ბიზნესფორუმი სამ ქვეყანას შორის უკვე მეხუთედ იმართება და საქართველო ამ ფორუმისგან კიდევ უფრო მეტ ინვესტიციებს ელოდება.

თურქეთში ქართული ბიზნესდელეგაციის ვიზიტის ორგანიზატორი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაა. ფორუმის პარალელურად, სამი ქვეყნის მინისტრები ერთმანეთს პირისპირ შეხვდებიან და სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებს, მათ შორის, ტრანსპორტისა და რკინიგზის საკითხებს განიხილავენ.

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართება პირისპირ შეხვედრები სამი ქვეყნის ბიზნესწრეებს შორის, სადაც ქართულ კომპანიებს საშუალება ექნებათ, შეხვდნენ და საქმიანი ურთიერთობები დაამყარონ პოტენციურ პარტნიორებთან როგორც თურქეთიდან, ისე აზერბაიჯანიდან.

ფორუმის სფეროები განისაზღვრება ქართული კომპანიების ინტერესების შესაბამისად. ამ დროისთვის გამოკვეთილი სექტორებია რკინიგზა, ტურიზმი, სადაზღვევო სექტორი, მსუბუქი მრეწველობა, სამედიცინო ტურიზმი, ფარმაცევტიკა, სამედიცინო საქმიანობა, თევზჭერა, ხიზილალის მოპოვება და ა.შ.

გვსურს, რომ კიდევ მეტი ქართული პროდუქტი იყოს წარმოდგენილი თურქულ ბაზარზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი სტამბოლში მიმდინარე სამმხრივი ბიზნესფორუმის ფარგლებში თურქეთის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის მინისტრს შეხვდა. გიორგი გახარიამ და ფარუკ ოზლუმ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. მხარეებმა მათ შორის სარფის ტერმინალზე მიმდინარე რეკონსტრუქციის შესახებ ისაუბრეს. როგორც შეხვედრაზე ითქვა, რეკონსტრუქცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულდეს, რათა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას ხელი არ შეეშალოს.

„გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ თურქეთის მხარესთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები ღია გვაქვს და გვსურს, რომ კიდევ მეტი ქართული პროდუქტი იყოს წარმოდგენილი თურქულ ბაზარზე იმისთვის, რომ ჩვენი სავაჭრო ბალანსის დისბალანსი გამოსწორდეს. თურქეთის მხარე გვპირდება, რომ ეს ცვლილებები ახალ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება. ვისაუბრეთ ასევე სატრანსპორტო დერეფნებსა და ჩვენს გადამზიდავებზე“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მინისტრის თქმით, სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობა არის საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მეზობელმა ქვეყნებმა ერთმანეთის ეკონომიკურ პოტენციალს სინერგიის ძალა შესძინონ და თავიანთი ეკონომიკა სწრაფად განავითარონ. გიორგი გახარიას განცხადებით, ამას დღევანდელი გამოწვევების პერიოდში სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

რუსმა ოკუპანტებმა განმუხური-ფიჩორის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს

რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავეს, მეორემ კი გაქცევა შეძლო. გავრცელებული ინფორმაციით, დავით ცერცვაძე მეგობართან ერთად, განმუხური-ფიჩორის მიმდებარე ტერიტორიაზე ნადირობდა.

მისი ახლობლების მტკიცებით, მას ე.წ. საზღვარი არ გადაუკვეთავს. ოკუპანტები გათავისუფლების სანაცვლოდ 3 ათას ლარს ითხოვენ. დავით ცერცვაძის დაკავების ფაქტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ადასტურებენ.

ვინ ხართ თქვენ, კარლო ლაფერაძევ!

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი თბილისის ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ კარლო ლაფერაძეს კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს. ელისაშვილი ჯავახეთის №66-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილისთვის სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საკრებულოში გადაგზავნას ითხოვს. ელისაშვილმა ვარკეთილის მცხოვრებლებთან და მათ ადვოკატთან ბექა ბადრიშვილთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. ელისაშვილმა აღნიშნა, რომ 6 ათას კვადრატულ მეტრამდე მიწის ნაკვეთის ნაწილს, 2 ათას კვადრატულ მეტრს, მერიის ზონალურმა საბჭომ სარეკრეაციო ზონის სტატუსი 2015 წლის მარტში მიანიჭა, თუმცა დოკუმენტი საკრებულოში დასამტკიცებლად ამ დრომდე არ შესულა. ყოველივე ამაში ელისაშვილმა ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კარლო ლაფერაძე დაადანაშაულა.

„მერიის მაღალჩინოსნებს და კონკრეტულად ქონების მართვის სააგენტოს კორუმპირებულ ხელმძღვანელს კარლო ლაფერაძეს იმის გამო, რომ არ ადარდებს მოქალაქეთა ბედი და ადარდებს მხოლოდ ფული, სრულიად უკანონოდ აფერხებს დოკუმენტაციის გადმოგზავნას. შესაბამისად, ეს ხალხი გამწარებულია. ამ ადამიანებს მიმოწერის უზარმაზარი მაკულატურა დაუგროვდათ, მერიის ტყუილების მთელი დოკუმენტაცია,“ — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

11 ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერდა

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველომ მიმდინარე თვეს დედაქალაქში 110 ინსპექტირება და 140 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება განახორციელა, მათ შორის, 83 ხორცის სარეალიზაციო ობიექტში. აგრეთვე, შემოწმდა ფრინველთა და ცხოველთა სასაკლაოები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და აგრარული ბაზრები.

კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი შეუჩერდა 11 ბიზნესოპერატორს: 3 სასაკლაოს, 4 ხორცის საბითუმო სარეალიზაიციო ობიექტს, 3 საზოგადოებრივი კვების ობიექტს, 1 აგრარულ ბაზარს. სხვადასხვა დარღვევის, მათ შორის, ხორცის ეტიკეტირების წესის დარღვევისა და გაურკვეველი წარმომავლობის ხორცის რეალიზაციის გამო დაჯარიმდა 34 ბიზნესოპერატორი.

„მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და სურსათის უვნებლობის სტანდარტების უზრუნველყოფისთვის, სურსათის ეროვნული სააგენტო განაგრძობს შემოწმებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მალფუჭებადი სურსათის - ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების შესაბამისობის დადგენას ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. აგრეთვე, ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება საინფორმაციო შეხვედრები ბიზნესოპერატორებთან,“ — განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

ირანშიც ტყუილი ჰყვარებიათ!

ქართველების უმრავლესობა თვლის, რომ ნატო მათ უსაფრთხოებას ვერ დაიცავს; „გელაპის“ ახალი კვლევა

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი რესპუბლიკის მთავრობა ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობას ცდილობს, ამ რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან — ნატოსთან ურთიერთობის წინააღმდეგია.

ამის შესახებ ირანული რადიოს „Pars Today“-ს ეთერში გადაცემულ სიუჟეტში იყო საუბარი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს სიუჟეტის რეზიუმეს:

როგორც აშშ-ის „ჯორჯ გელაპის სახელობის საზოგადოებრივი აზრის გამომკვლევი ინსტიტუტის“ მონაცემებით ირკვევა, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეთა უმრავლესობა თავიანთი ქვეყნების ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგნი არიან.

„გელაპის ინსტიტუტის“ გამოკვლევები ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობის მხოლოდ 21% მიიჩნევს ნატოს საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების დამცველად, საქართველოში კი — მხოლოდ 37%. ამასთან, აზერბაიჯანში 16%-მა, ხოლო საქართველოში 8%-მა განაცხადა, რომ ნატო ბაქოსა და თბილისისთვის საფრთხეს წარმოადგენს. სომხეთში მოქალაქეთა მხოლოდ 8% მიიჩნევს, რომ ნატოს ნდობა შეიძლება, 20%-ის აზრით კი, ალიანსს ერევნისთვის მხოლოდ საფრთხის მოტანა შეუძლია.

რადიომსმენელებს შევახსენებთ, რომ „გელაპის ინსტიტუტი“ ამერიკული დაწესებულებაა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა, საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით. მსოფლიოს ბევრი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ ინსტიტუტის საქმიანობა სავსებით პასუხობს ვაშინგტონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ამის მიუხედავად, გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ხალხები თავიანთი სახელმწიფოების ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგნი არიან.

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, განსაკუთრებით თბილისი და ბაქო, რეგიონის პოლიტიკურ რეალიების იგნორირებით, დიდ ძალისხმევას მიმართავენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობის გასაფართოებლად. ნატოს ხელმძღვანელობა, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის დახმარებით, აზერბაიჯანს და საქართველოს ხელს უწყობდა ალიანსთან თანამშრომლობის საქმეში. რაც დრო გადიოდა, მით მეტი წრთვნები ტარდებოდა, მით უფრო მეტი იარაღი ეძლეოდათ, სამხედრო ტექნიკა და ა.შ. სამხედრო თანამშრომლობა პოლიტიკურ მხარდაჭერაშიც ხშირად გამოიხატებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისისა და ბაქოს მთავრობებმა პრესაში ფართო პროპაგანდა გააჩაღეს აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ნატოსთან ინტეგრირების მიზნით, ამ რესპუბლიკების მოსახლეობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს თავიანთ დამცველად მაინც არ მიიჩნევს, პირიქით — გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ნატო მათი ქვეყნების საფრთხეს წარმოადგენს.

„Iran Radio-Pars Today“ (ირანი)

თამაში აკრძალულ ყანაში...

ანუ მთავარია დავალების შემსრულებელი

...გიორგი მამალაძის „ციანიდის საქმემ" შეძრა მთელი საქართველო. შეძრა, რადგანაც არსებული ჭორების თუ ინფორმაციების შემდეგ, მაღალი იერარქის პიროვნებაში, ყველამ საქართველოს პატრიარქი იგულისხმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი დღეა „ისრები" სხვა მიმართულებით გადადის, გულში ყველა მაინც უწმინდესსა და უნეტარესს მოიაზრებს.

უამრავი ვერსიაა და ამაზე არ ვილაპარაკებ, რადგანაც იმედი მაქვს, რომ პროკურატურა დაადგენს სიმართლეს. დაადგენს ორგანიზების ყველა დეტალს, დაწყებული შემკვეთიდან, დამთავრებული ყველა თანამონაწილით, რადგანაც ეს არც მორიგი მკვლელობის ორგანიზებაა (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის) და არც მორიგი პროვოკაციის მოწყობის მცდელობა, რომ მიიჩქმალოს.

მთავარი ისაა, რომ უმაღლესი იერარქის მკვლელობას ჰყავს დამგეგმავი და მოიძებნება შემსრულებელიც.

ამ ვითარებაში მთავარი აბსოლუტურად სხვა რამეა, რომელზეც, ფაქტობრივად, არავინ საუბრობს. სამწუხაროდ, დღეს ნამდვილად არაჯანსაღი ფონია შექმნილი იმისათვის, რომ სხვადასხვა ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიმართლმადიდებლური განცხადებების გაკეთებიდან, სხვადასხვა სახის ცილისწამებიდან, ადვილად მივიდეთ ასეთ საშინელებამდე.

ერთი-ორჯერ გაისმა „არგუმენტი", რომ საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლები, მუდმივად იყვნენ მოკვდინების საფრთხის ქვეშ და რომ ეს, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი, „ნორმალური" მოვლენაა.

დამერწმუნეთ, რომ მსგავსი „მოსაზრებების" გახმიანება, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი თემის „გალაითების" მცდელობაა, რაც, საბედნიეროდ, არ გამოუვათ.

როცა ვხედავ მკაცრ გამონათქვამებს პატრიარქის მოწამვლის მცდელობასთან დაკავშირებით, უნებურად მებადება შეკითხვა:

კი მაგრამ, როდესაც საპატრიარქოს კედლებზე რაღაც უხამსი წარწერები გააკეთეს, როდესაც ვრცელდებოდა ინფორმაციები ზოგიერთი ახლანდელი პარლამენტარის და ყოფილი მერის მხრიდან პატრიარქის მიმართ უდიერად მოპყრობაზე, როდესაც ვხედავდით სოციალურ ქსელებში პატრიარქის მიმართ საზიზღარ გამონათქვამებს, ნანახი გვაქვს სიონთან ჩატარებული ჰელოუენი, საპატრიარქოს გვერდით მშვენივრად ფუნქციონირებს კაზინო, საქართველოში მეზვერეობა არის ყველაზე წარმატებული ბიზნესი, სიცრუე არის კანონმდებლად მოსვლის წინაპირობა და ა. შ...

რატომ გიკვირთ? რა გავაკეთეთ? რას ვაკეთებთ?

კიდევ კარგი, რომ სოციალურ ქსელში მაინც იფრქვევა საზოგადოების გულიდან ამონახეთქი აღშფოთება.

დიახ, სოციალურ ქსელში ისმის საზოგადოების ხმა, თორემ ე.წ. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2"-ში, ამ თემისადმი „მიძღვნილი" გადაცემა, სახელწოდებით „ციანიდის საქმე", სრული მარაზმი იყო.

როგორ უნდა შეაფასოს საქართველოს ტრაგედია ნინო კალანდაძემ, გაურკვეველი მიზნების ფონდიდან დაფინანსებულმა ვიღაც ორმა „გამჭვირვალე და მემონიტორინგე" არსებამ, ტელეკომპანია „ტაბულას" რელიგიური გადაცემის წამყვანმა, სარწმუნოებით კათოლიკემ დ.ა.შ. „სტუმრებმა" და ამათ დამატებულმა, გადაცემის წამყვანმა „ჯულიეტოვნამ"? სასაცილოა ამ „გადაცემის" ავტორების „ფართო გაქანება", რადგანაც აშკარაა, რომ თავიანთ ნახლაფორთევს სახელწოდება „ციანიდის საქმე", „უოთერგეიტის საქმის" მიბაძვით უწოდეს, მაგრამ...

აქცენტების არასწორად დასმაა ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც ქართველ საზოგადოებას ამ ე.წ. მედიისგან სჭირს.

ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან: 14 თებერვალს სააკაშვილის მიერ წართმეულ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაში საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ კონკურსის „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში", 2016 წლის გამარჯვებულნი დაასახელა.

ძალიან არ მინდოდა ამ თემის წამოწევა, რადგანაც ჩემი სტატია, რომელიც გასული წლის 12 ოქტომბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა სათაურით – „ბიძინა ივანიშვილმა ომი მოიგო" (რუბრიკა – „კონსპექტი დამარცხებისთვის"), ამ კონკურსის ერთ-ერთი ნომინანტი იყო და სწორედ აქედან გამომდინარე, ჩემი მორალური პრინციპები არ მაძლევდა უფლებას, ხმამაღლა განმეცხადებინა ის, რასაც ახლა დავწერ, რადგანაც არ გამოვსულიყავი „გაბოროტებული" ადამიანის როლში.

ბევრს არ ვილაპარაკებ და ძალიან მოკლედ ვიტყვი ამ კონკურსის შესახებ.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, ბატონმა იანოშ ჰერმანმა, თავის მისასალმებელ სიტყვაში „აღნიშნა", რომ ის ბედნიერია, რადგანაც „შენობაში, რომელიც ადრე გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იყო, დღეს თავისუფალი ჟურნალისტები შეიკრიბნენ".

მე მომეცა საშუალება, გავსაუბრებოდი ბატონ ელჩს და ვუთხარი, რომ ცალმხრივია მის მიერ გაკეთებული აქცენტი გაზეთ „კომუნისტზე" მაშინ, როდესაც მან არაფერი თქვა 2007 წელს, ე.წ. „დასავლეთის" მიერ ხელდასხმული სააკაშვილის მიერ ძალისმიერად, პოლიციის სპეცრაზმის მეშვეობით, ამ შენობიდან გამოძევებულ ორ ტელეკომპანიასა და ასამდე ბეჭდურ მედიაზე. არაფერი თქვა მათი ხელდასხმით „მოჯეჯილე" სააკაშვილის ხელისუფლებაზე, რომელიც ყველანაირად დევნიდა ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში გამომავალ პირველ დამოუკიდებელ გაზეთ „შანსს". ცხადია, მისგან ზოგადი, არაფრისმთქმელი „დიპლომატიური" პასუხი მივიღე.

ახლა კი გთავაზობთ ფინალში გასული რამდენიმე მასალის სათაურებს: ნინო ბაქრაძე და დეივ ბლოსი – **„ოფშორულმა კომპანიამ სამი წელი გაატარა ივანიშვილის პასპორტის ძიებაში"** („ნეტგაზეთი"), ნატო გოგელია – **„მე ეკლესია ვარ და არ ვარ ვალდებული ინფორმაცია მოგაწოდოთ"** („გურია ნიუსი"), ნინია კაკაბაძე **„სახელმწიფო პატრიოტი ექსტრემისტების მხარდამხარ"** („ჯემნიუსი") დ.ა.შ.

დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ („ბიძინა ივანიშვილმა ომი მოიგო", VS. „ოფშორულმა კომპანიამ სამი წელი გაატარა ივანიშვილის პასპორტის ძიებაში").

სწორედ მსგავსი მედიაგარემოს გამო იმდენად აიჭრა და აირია სიტუაცია, რომ, ფაქტობრივად, რაიმე ლოგიკური დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. ხელისუფლება რეალობის თქმისგან თავს იკავებს, რადგანაც როგორი დასაბუთებული სახითაც არ უნდა გააკეთონ განცხადება, მედია მაინც არაკვალიფიციური ინტერპრეტაციას მისცემს.

სისულელეა იმის თქმა, რომ ქართულ მედიასივრცეს ნაცები, რომელთა პირდაპირ ინტერესებში შედის საზოგადოებაში დაბნეულობის, გაურკვევლობის და, აქედან გამომდინარე, ქაოსის შეტანა, სრულად აკონტროლებენ. მათ მაგივრად ამას აკეთებენ ე.წ. ჟურნალისტები, რომლებსაც არასრულფასოვნების კომპლექსის გამო, „სწორება" მუდამ „რუსთავი-2"-ზე აქვთ და რომლებიც თავიანთ „გადაცემებში" „განზოგადებული" გურანდა გაბუნიებისგან ითხოვენ კვალიფიციური განმარტებების გაკეთებას.

ხელისუფლებას არ აქვს ჩამოყალიბებული P.R.-ის უმთავრესი მექანიზმი – ჰყავდეს რამდენიმე სპიკერი, რომლებიც ამა, თუ იმ თემაზე დაელაპარაკებიან ნებისმიერ ოპონენტს. არა აქვს ინფორმაციის გავრცელების მკვეთრად განსაზღვრული მექანიზმი და ამის გამო, ნებისმიერ შემთხვევაში თავის მართლების რეჟიმში უწევს ყოფნა. ვერ ახდენს გასავრცელებელი ინფორმაციის ოპერატიულად შემუშავებას, თუნდაც აბსურდულის, მაგრამ შიდა სამზარეულოში დამტკიცებულის და პარტიული დისციპლინიდან გამომდინარე, უცვლელად გავრცელებისთვის. იმის იმედით ყოფნა, რომ პატრიარქის დაბრუნება ჩააწყნარებს სიტუაციას, მცდარია, რადგანაც ნაცები და მათ „ხელდასხმაში" მყოფი „გავლენიანი" არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.წ. სახალხო დამცველთან ერთად, საინფორმაციო გადაცემების თუ ე.წ. შოუების მეშვეობით შეეცდებიან თამასას მაღლა აწევას. გაკეთდება ისეთი სახის განცხადებები, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპული ინტეგრაციისადმი საზოგადოების ანტიპათიური დამოკიდებულების გაზრდას (მაგალითად, „გამჭვირვალე" ექსპერტები ისაუბრებენ ეკლესიის ფინანსებზე, შიდა განხეთქილებაზე, პარალელურად მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე დ.ა.შ.).

მოკლედ რომ ვთქვა, მკვეთრი და სწორად გათვლილი მოქმედებებია საჭირო. მარტო ღვთის ანაბარა ყოფნა, თუ ცოტა ხელიც არ გაანძრიეს, ნამდვილად არ წაადგებათ.

* * *

ჩემი წერილის ეს ნაწილი მინდა დავამთავრო საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მიერ ევროკავშირი – საქართველოს საინფორმაციო კამპანიის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვის ამონარიდით:

„მაშინ, როცა სულ უფრო იზრდება ანტიდასავლური პროპაგანდა, ჩვენმა ხალხმა მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღოს ევროინტეგრაციის მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შესახებ. ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" აქტიური ჩართულობა საინფორმაციო კამპანიის განხორციელებაში".



აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ პრემიერს, მაგრამ რატომღაც ჩვენი თავი „პლატონური სიყვარულის" იმ სიტუაციაში მგონია, როდესაც ქალი შენ გიყვარს და მას სექსი პლატონთან აქვს და იმისათვის, რომ ეს არც თუ ისე ნორმალური სიტუაცია (ძალიან რბილად ვამბობ) შეწყდეს, პირველ რიგში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ ვინ აწარმოებს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. რამდენად სწორად ესმით მათ „ევროპა" და მასში ინტეგრაცია. რამდენად სწორად, რადგანაც რუსული პროპაგანდის გაძლიერება იმ „პრადვინუტების დამსახურებაა", ვინც ევროპას მართლმადიდებლობასთან ბრძოლის, გეიაღლუმების, კორუფციის და ყოველგვარი სიმახინჯის ფორპოსტად წარმოგვიჩენს. ამის მარტივი მაგალითი კი მე თვითონ ვნახე, როდესაც ევროკავშირის პრიზი ნინია კაკაბაძეს მიანიჭეს და მის მისაღებად ნინო დანელია მივიდა. **„მთავარი დავალების მიცემა კი არ არის, მთავარია, ვის დაავალებ მის შესრულებას". თუ არ ვცდები, ეს სიტყვები ნაპოლეონს ეკუთვნის და დღევანდელ საქართველოში საოცრად აქტუალურია.**

გია გაბრიჭიძე

„რეალური სივრცე", „ვექტორი", „წითელი ზონა", „კაცების შოუ", „ცე სტუდია" – რომელი გადაცემები იხურება?

საზოგადოებრივი მაუწყებლის აღმასრულებელმა საბჭომ სამეურვეო საბჭოს საკუთარი ხედვა წარმოუდგინა, მათი თქმით, გადაცემები სამ ჯგუფად, რეიტინგების მიხედვით უნდა დაიყოს. აღნიშნული კრიტერიუმით მენეჯმეტის აზრია, რომ არხზე არა 102 , არამედ 14 გადაცემა უნდა დაიხუროს.

რეიტინგის არქონის გამო, მაუწყებლის აღმასრულებელი საბჭო ფიქრობს, რომ უნდა დაიხუროს შემდეგი გადაცემები: „დოკუმენტური ფილმების სტუდია, ხანმოკლე მე-20 საუკუნე", „ეკონომმეტრი", „ვაშინგტონი დღეს", „სპორტი 360 გრადუსი", „მთავარი", „რეალური სივრცე (პარასკევი)", „ვექტორი", „სპორტის დაფა", „რადიო თავისუფლება წითელი ზონა", „ტელემანი", „კაცების დრო", „ცე სტუდია" „უცნობი მუსიკა".

მენეჯმენტის ამ გეგმამ ბორდის უკმაყოფილება გამოიწვია, რაც სხდომის ჯერ დახურვის, შემდეგ კი გადადების მიზეზი გახდა.

სვანების მოთხოვნა სამართლიანია

„მილანის“ ყოფილი მცველი კახა კალაძე თავიდან კაშხლის წინააღმდეგი იყო, თუმცა, შემდეგ პოზიცია შეცვალა

ჰიდროელექტროსადგურების კაშხლები ძალიან ხშირად, ბუნებრივი მოვლენების გამო, ადამიანებს საფრთხეს უქმნიან. ეს ნაგებობები ძალიან არამედეგია იმ ინფრასტრუქტურებს შორის, რომელიც კაცობრიობას დღემდე შეუქმნია. მართლაცდა, როცა შეჰყურებ წყლის უდიდეს მასას, რომელსაც ბეტონის კედელი იმაგრებს, ყოველთვის მღელვარება და შიშის გრძნობა გეუფლება... სწორედ ამიტომაც, გარემოს დაცვის საკმაოდ ბევრი მომხრე ეწინააღმდეგება კაშხლების მშენებლობას, ზოგჯერ კი რადიკალურად – ჰიდროელექტროსადგურების აკრძალვის ჩათვლით“, – ნათქვამია იტალიურ გამოცემა „ლა რეპუბლიკას“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი – ჯანპაოლო გადალანუ).

ადამიანის ცხოვრება ენერგიის გარეშე ჯერჯერობით წარმოუდგენელია, ამიტომაც ჰესებს არავინ აკრძალავს, მაგრამ მშენებლობისას ყველა ზომა უნდა იქნეს გათვალისწინებული, განსაკუთრებით გეოლოგიური საფრთხეების ლოკალიზების თვალსაზრისით. ერთ-ერთი ასეთი სადავო ნაგებობა საქართველოში შეიძლება, ხუდონჰესის კაშხალი გახდეს, რომელიც სვანეთში მდებარეობს, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონთან – აფხაზეთთან ახლოს. ხუდონჰესის მშენებლობა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით, ჰიდროგეოლოგიური პრობლემების გამო, პროექტის რეალიზება შეჩერდა. თუმცა იქვე ახლოს მოსკოველმა ინჟინრებმა უფრო ადრე ენგურჰესი ააგეს, რომლის კაშხლის სიმაღლე მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესია – 271,5 მეტრი. საერთოდ კი, თბილისის გეგმებით, მდინარეებით მდიდარ ამ ზონაში 45 ენერგოობიექტი უნდა აშენდეს.



გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები ნენსკრაჰესის მშენებლობის წინააღმდეგაც გამოდიან, რომელმაც ქვეყანას 280 მეგავატი ელექტრონერგია უნდა მიაწოდოს. ნენსკრაჰესს კორეული კომპანია „ქეი ვოთერი“ ააშენებს, მასში იტალიური ფირმა „სალინი იმპრეჯილო“ მონაწილეობს. მშენებლობა საერთო ჯამში დაახლოებით 1 მილიარდი დოლარი ჯდება, აქედან საქართველოს მთავრობა 575 მილიონ დოლარს დახარჯავს, დანარჩენ თანხას კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ.

ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ სვანეთში იმ სოფლების მოსახლეობაც გამოდის, რომლებთაც წყლის დაგუბებისა და წყალსაცავის შექმნის შემდეგ მშობლიური ადგილებიდან გადასახლება მოუწევთ. მოსახლეობის მოთხოვნას ყურადღებას არავინ აქცევს, „ნაციონალი“ მიხეილ სააკაშვილის მთავრობიდან დაწყებული, „ქართული ოცნებით“ დამთავრებული. ამჟამად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს კახა კალაძე ხელმძღვანელობს, ფეხბურთის კლუბ „მილანის“ ყოფილი მცველი. იგი თავდაპირველად კაშხლის მშენებლობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მოგვიანებით პროექტს მხარი დაუჭირა. ჰესების მშენებლობის თაობაზე მთავრობის ენთუზიაზმი ადგილობრივი მოსახლეობის სკეპტიციზმით იჩრდილება. სვანები ხელისუფლებას ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას სთხოვენ. როცა ბუმბერაზ კავკასიონის მწვერვალებსა და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილ სვანეთის მთავარი ქალაქის – მესტიის პანორამას შეჰყურებ, სვანებს ვერაფერში დაადანაშაულებ, მათი მოთხოვნა სამართლიანია.

„La Repubblica“(იტალია)
მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“

მასალები საბრალდებო დასკვნისთვის

ღია წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

ძვირფასო მკითხველო, ამ წერილის შედგენის მიზანი ის გახლავთ, რომ თავად თქვენ განსაჯოთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის არაადეკვატური დამოკიდებულება პრობლემისადმი, რასაც საერთაშორისო დონეზე, ჩვენი ქვეყნისთვის „ჯორჯიას, გრუზიას, გურჯისტანის“ და ა.შ. ნაცვლად კონსტიტუციით დადგენილი კანონიერი სახელწოდების – „საქართველოს“ დამკვიდრების მიზანშეწონილობა ჰქვია.

დავარღვევ „საქმის წარმოების“ ელემენტარულ წესს და წინასწარ მოგახსენებთ, რომ ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ამ პრობლემასთან მიმართებაში, არც მეტი, არც ნაკლები შეფასებული მაქვს, როგორც: „არაქართული“, „არასახელმწიფოებრივი“, „არაკომპეტენტური“, „უპრეცედენტო“, „არაკაცური“ და ა.შ.

გეთანხმებით, რომ ჩემი მხრიდან მათი საქმიანობის შეფასება ამ მიმართებით ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ამიტომ ვალდებულიც ვარ ყველა მათგანი დავასაბუთო კონკრეტული ფაქტებით.

საქმის არსი ასეთია:

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 16 თებერვალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ბატონ ანზორ ბაბუხადიას მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად“.

მაშ ასე:

– არასახელმწიფოებრივია, ანუ ყოველგვარ ნორმას სცილდება სამინისტროს ქმედება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პარლამენტს ზემოაღნიშნულ დავალებაზე პასუხს უგზავნის შვიდი თვის დაგვიანებით!

– არაკომპეტენტურობის აშკარა გამოხატულებაა, როცა სამინისტრო თავადვე აღიარებს, რომ „საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიარა კონსულტაციები კომპეტენტურ ორგანოებთან და ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ აღნიშნული საკითხი აღემატება საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას!“

– არასახელმწიფოებრივი, უფრო ზუსტად კი დანაშაულებრივი ქმედებაა, როცა სამინისტრო ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომ თითქოს „გაეროს“ წევრი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს დღემდე მოიხსენიებს, როგორც Georgia“, რაც მტკნარი სიცრუეა! ჩვენი გაანგარიშებით კი, მსოფლიოს მოსახლეობის 52% საქართველოს დღესაც მოიხსენიებს (მათ შორის, ოფიციალურ დონეზეც) გრუზიად, 32% – გურჯისტანად, დანარჩენი, ანუ უმცირესობა – ჯორჯიად. აქედან გამომდინარე, ამას, ჩვენი აზრით, „თვალებში ნაცრის შეყრა“ ჰქვია და სხვა არაფერი!

– ამ ფონზე, არასახელმწიფოებრივი და არაქართულია აგრეთვე მათი მოსაზრება, რომ „ამ ეტაპზე პარტნიორი სახელმწიფოებისთვის ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო დასახელების მორიგი ცვლილების შეთავაზება პოლიტიკურად მიზანშეუწონელია“!

– სამინისტრომ არაკომპეტენტურობის გამო უხეშად დაარღვია საქმიანი კორესპოდენციებისადმი დამოკიდებულების ელემენტარული წესი, ანუ უფრო ზუსტად, შეგნებულად დაუშვა უპრეცედენტო დანაშაული. კერძოდ, მაშინ როცა საქართველოს პარლამენტმა მოქმედი წესისა და მოთხოვნების სრული დაცვით, სათანადო დავალება გადაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო მისი ასლი იდეის ავტორს, სამინისტრომ ამ დავალებაზე ძალიან სერიოზული დაგვიანებით სათანადო პასუხი აცნობა პარლამენტს, ხოლო როგორც იდეის ავტორს, ამ წერილის ასლის ნაცვლად გამოუგზავნა აბსოლუტურად განსხვავებული პასუხი. რა ჰქვია სამინისტროს ასეთ ქმედებას, ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობ!

– საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტში გაგზავნილ პასუხში აღნიშნავს, რომ, თითქოს, ყოველივე „ამის შესახებ ბატონ ანზორ ბაბუხადიას პირადად ეცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროში 2016 წლის 2 ივნისს გამართული შეხვედრის დროს.“ სინამდვილეში შეხვედრა მართლაც შედგა მინისტრის პირველ მოადგილესთან, ბატონ დავით ზალკალიანთან, მისი რამდენიმე თანამშრომლის მონაწილეობით, მაგრამ ჩემი საკმაოდ ვრცელი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ არც ერთ მათგანს მადლობის გარდა, სიტყვაც კი არ დაუძრავს ამ თემასთან დაკავშირებით. ასეთი უპრეცედენტო ტყუილის დაფიქსირება სწორედ რომ არაკაცური ქმედებაა!

– ერთადერთ სიმართლეს, რასაც სამინისტრო ზემოაღნიშნულ წერილში ამბობს, ის გახლავთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1992 წლის 31 ივლისს გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი და მისი სახელი გაეროს ინგლისურენოვან დოკუმენტში დაფიქსირდა როგორც „Republic of Georgia“.

– არაქართულ და არამოქალაქეობრივ ქმედებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სამინისტრომ ამ თემასთან დაკავშირებით, სრული იგნორირება გაუკეთა ქალბატონების: მარიკა ლორთქიფანიძის, ნუნუ დუღაშვილის, ნუნუ გაბუნიას, რუსუდან სებისკვერაძის, მარიკა კვალიაშვილის, ბატონების: მერაბ ბერძენიშვილის, რეზო ჩხეიძის, ანზორ ერქომაიშვილის, არნოლდ გეგეჭკორის, გიგა ბათიაშვილის, ოთარ მელქაძის, ვაჟა ლორთქიფანიძის, მინდია უგრეხელიძის, ერეკლე საღლიანის, ვაჟა აზარაშვილისა და ჯუმბერ ჯანდიერის მოსაზრებებს. უფრო მეტიც, არაფრად არ ჩააგდო 40-ზე მეტი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების, შემოქმედებითი კავშირის, დარგობრივი აკადემიის, არასამთავრობო ორგანიზაციის, 30-ზე მეტი გვარის წინამძღოლისა და საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის მხარდამჭერი გამოხმაურება. უგულებელყო გაზეთების: „საქართველოს რესპუბლიკის“, „ასავალ-დასავალის“, „საქართველოს და მსოფლიოს“, „საერთო გაზეთის“, „ალიასის“, „ახალი თაობის“, ტელეკომპანია „ობიექტივის“ არაერთი სამართლიანი გამოხმაურება!

– საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯერარნახული და არგაგონილი დამოკიდებულება გამოამჟღავნა და დღესაც „წარმატებით“ ახორციელებს თავის „გენერალურ“ ხაზს, რომ მოქალაქემ ვერანაირად ვერ გაიგოს თუ რა ბედი ეწია სამინისტროს წინაშე მის მიერ დასმულ ამა თუ იმ პრობლემას. აღნიშნულის თვალსაზრისით, სამაგალითოა მათი დამოკიდებულება ჩვენი წერილისადმი (№42909/01,11.11.16), რომელიც გავუგზავნე სამინისტროს კოლეგიის ყველა წევრს და საქართველოს პარლამენტის წევრებს ჩვენს მიერ შედგენილი სიის მიხედვით. „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“, გასული სამი თვის განმავლობაში ვერაფერით ვერ დავადგინე რა ბედი ეწია ამ ჩვენს წერილს! არ მინდა დავუშვა, რომ თითქოს სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჩემი წერილი გაასაიდუმლა და ამით ეს პრობლემა „გადაჭრილად“ ჩათვალა!

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვარ, შევხვდე სამინისტროს ხელმძღვანელებსა და სხვა დაინტერესებულ პიროვნებებს, რათა დეტალურად გავაცნო მათ პრობლემის ყველა ნიუანსი და ერთობლივად დავსახოთ ჩიხიდან გამოსვლის გზები.



ანზორ ბაბუხადია

ქვეყნის მსახურებაში განვლილი წლები

გაიოზ ნოზაძე – 80

ხე სიმაღლით ფასდება, ადამიანი — გაკეთებული საქმეებით. გაიოზ ნოზაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც შეუძლია ამაყად გაუსწროს თვალი წარსულს და თამამად თქვას, რომ ამქვეყნად ამაოდ არ უცხოვრია.

გაიოზ ნოზაძე ნოზაძეთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელია. მისი მდიდარი შრომითი ბიოგრაფია თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს. სადაც კი იმოღვაწა, ყველგან კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით, სამართლიანობითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა. როგორც თაობის ერთ-ერთ ლიდერს, მას ახალგაზრდობიდანვე მაღალი თანამდებობები ეკავა, მაგრამ უპატიოსნეს ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდას განვლილი ცხოვრების განმავლობაში ხალხთან და თანამშრომლებთან ურთიერთობაში წონასწორობა არასოდეს დაუკარგავს. რაიკომის პირველ მდივნად პატიოსნად მუშაობა არ იყო იოლი საქმე. ადგილის „გაფუჭებას“ არავინ გაპატიებდა, მაგრამ გაიოზ ნოზაძემ თავისი პიროვნული ხიბლის, პრინციპულობის წყალობით შეძლო ამ ბარიერის გადალახვა და ახლა, როდესაც ზოგიერთ თანამდებობის პირს საკუთარი რაიონისკენ გახედვა ეუხერხულება, გაიოზ ნოზაძეს თავის მშობლიურ ჭიათურასა თუ ბაღდათში, სადაც ის ხელმძღვანელად მუშაობდა, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებიან. ამიტომ, სულაც არ იყო შემთხვევითი, რაიონიდან წამოსვლის 5 წლის შემდეგ, 1995 წელს საქართველოს პარლამენტში ბაღდათის მოსახლეობამ დეპუტატად რომ აირჩია. ასეთი რამ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მან თავის დროზე სიკეთე დათესა და ხალხის სიყვარულიც მოიმკო.

გაიოზ ნოზაძე 1937 წლის 14 თებერვალს დაიბადა ჭიათურაში. დედა — თამარ ტყემალაძე დამსახურებული პედაგოგი იყო, მამა, პლატონი — დამსახურებული მეგზევე-ინჟინერი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რითაც მთელი სიცოცხლე ამაყობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა ჭიათურისა და საჩხერის რაიონების აღმშენებლობაში.

გაიოზ ნოზაძე 1955 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1960 წელს დაასრულა ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით, ხოლო 1977 წელს მოსკოვში წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აკადემია და მიიღო ეკონომისტ-საზოგადოებათმცოდნის სპეციალობა.

მისი შრომითი საქმიანობა ჭიათურაში 1960 წელს ტრესტ „ჭიათურმანგანუმმშენში“ დაიწყო. ამ ქალაქში მან 20 წელიწადი იღვაწა. 1973-1980 წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო. 1980 წელს პარტიის ბაღდათის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს, სადაც 10 წელი დაჰყო.

მისი უშუალო მონაწილეობით ქ. ჭიათურასა და ბაღდათის რაიონში მრავალი სოციალური და კულტურული, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი ამოქმედდა, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეკონსტრუირებული შენობა, მაღაროელთა კულტურის სასახლე, სპორტული კომპლექსი, სატროლეიბუსო ხაზი ჭიათურა-საჩხერეს შორის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფო კომპლექსი, საავტომობილო გზები, მანგანუმის მადნის ახალი მიწისქვეშა სიმძლავრეები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, ბაღდათში რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის საელიტერატურო დარბაზი, კურორტ საირმის ობიექტები, ათეულობით ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი, საცხოვრებელი სახლები, სოფლის ადმინისტრაციული ცენტრები და მრავალი სხვ.

1990 წლის აპრილში გ.ნოზაძე გადაიყვანეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ იყო მინისტრთა კაბინეტის წამყვანი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, საგანგებო სიტუაციების, ლტოლვილთა და განსახლების სამსახურის უფროსი.

როგორც უკვე ვთქვით, 1985-1990 წლებში მაიაკოვსკის რაიონის დიმის საარჩევნო ოლქიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1995-1999 წლებში ბაღდათის რაიონიდან მაჟორიტარული წესით აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. იმ მოწვევის პარლამენტში იყო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარის მოადგილე, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის წევრი, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის წევრი.

გაიოზ ნოზაძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციების, მათ შორის, სვანეთიდან და მთიანი აჭარიდან სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სხვა რაიონებში ჩასახლების, 1991 წლის 29 აპრილს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი პრობლემების მოგვარებაში. როგორც რესპუბლიკური შტაბის წევრი, 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, უშუალოდ მონაწილეობდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ურთუღლეს პირობებში დევნილთა ჭუბერის უღელტეხილის გავლით ორგანიზებულად გადმოყვანაში. როგორც შერეული საკონტროლო კომისიის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების, დაზიანებული ობიექტების აღდგენის პროცესში. ამასთან, გაიოზ ნოზაძე კოორდინაციას უწევდა სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებს და როგორც საპარლამენტო მდივანი, უშუალოდ მონაწილეობდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

გავიდა წლები. დღეს გაიოზ ნოზაძე დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს, — ნოზაძეთა საგვარეულო კავშირის „ვიკტორ ნოზაძის საზოგადოების“ თავმჯდომარეა. საზოგადოება იღვწის ამ დიდი მამულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის — თხზულებათა სრული კრებულის გამოსაცემად. საზოგადოება მიზნად ისახავს სხვა ეროვნული საკითხების გადაწყვეტას.

გაიოზ ნოზაძის ღვაწლი ჯეროვნად დაფასდა: იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის ორდენით“, მედლებით, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით. 2002 წელს კი საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციაში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების ურთულეს კლიმატურ პირობებში ორგანიზებულად გამოყვანასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, აქტიური კანონშემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნების ხელშემწყობი სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე გაიოზ ნოზაძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გაიოზ ნოზაძეს ტრადიციული ქართული ოჯახი აქვს. მან და მისმა მეუღლემ მარინა მოდებაძემ ორი ვაჟი აღზარდეს — პლატონი და მამუკა. ნოზაძეებს ჰყავთ ხუთი შვილიშვილი.

გაიოზ ნოზაძეს მრავალი ეროვნული საქმე აქვს გაკეთებული, მას ბევრისთვის დახმარების ხელი გაუწვდია, მაგრამ თავის თავზე, თავის დამსახურებაზე არასოდეს უსაუბრია — კეთილ საქმეს ყოველთვის უჩუმრად, მონდომებით და შესანატრი ერთგულებით აკეთებდა. სწორედ ამ მხრივაც არის საინტერესო ცნობილი ქართველი პოეტის, ენამჭევრი და ენამზიანი ჩვენი საზოგადო მოღვაწის გენო კალანდიას დაუვიწყარი მოგონება — „ნუგეშისმცემელი“, რომელიც სოხუმის დაცემის შემდეგ, 1993 წლის ოქტომბრის ტრაგიკულ ამბებს ეხება და შესანიშნავად წარმოაჩენს გაიოზ ნოზაძის ნათელ პიროვნებას...

„...მე, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, — წერდა ბატონი გენო, — ბატონ გაიოზ ნოზაძის წინადადებით საგანგებო შტაბის წევრად დამამტკიცეს ბორის სარალიძესთან, ლია ცინდელიანთან, ივერი ჭელიძესთან, მამუკა მინდელთან, კახა კვიციანთან ერთად... დაიწყო ჩვენი ოცდაოთხსაათიანი სამუშაო რეჟიმი დევნილთა გადასარჩენად. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე ყვარებოდა თავისი ხალხი, გულთან ასე მიეტანოს მოყვასის მწუხარება და გასაჭირი. ბატონი გაიოზი ყველგან ასწრებდა, საკუთარი ხელით ურიგებდა დამშეულთ და უპოვართ სურსათ-სანოვაგესა და თბილეულს, ავტობუსებით, ვერტმფრენებით, უბრალო საბარგულებით აგზავნიდა თბილისის, ზუგდიდისა და ქუთაისის მიმართულებით“.

მართლაც რომ ნამდვილი ვაჟკაცი ქართველი კაცის სისხლსავსე პორტრეტია. თითქმის ვერაფერს დაამატებ.

დიდხანს იცოცხლეთ და იღვაწეთ სიკეთითა და სულიერი სიმაღლით გამორჩეულო ძმაო და მეგობარო!

ელგუჯა ნოზაძე, სიმონ ნოზაძე, თეიმურაზ ხაზარაძე, გურამ ქაშაკაშვილი, დავით ნოზაძე, ანზორ თოთაძე, ჭაბუკი ნოზაძე, გურამ გოგიაშვილი.

დიდთოვლობა აჭარაში

თოვლის სიმაღლე მაღალი ზონის სოფლებში 2 მეტრს აღწევს. ამ დროისათვის მუნიციპალიტეტებში სამუშაოებს ადგილობრივი მუნიციპალური ტექნიკის გარდა, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის 50 ერთეული მძიმე ტექნიკა ახორციელებს. მაღალი გამავლობის ტრანსპორტი შეუფერხებლად მოძრაობს ყველა მიმართულებით. ბოლო მონაცემებით თოვლის საფარი ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების დაბებში 1 მ-მდე მერყეობს. გაწმენდითი სამუშაოები დილიდან განახლდა და უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება. სამუშაოებში მუნიციპალიტეტების ცენტრებში მობილიზებული დამატებითი ტექნიკა და ადამიანური რესურსი ჩაერთო.

გზები ინტენსიურად იწმინდება ხელვაჩაურშიც. კონტინგენტის გამოუცხადებლობის გამო სასწავლო პროცესი არ შედგა მუნიციპალიტეტის 4 საჯარო სკოლასა და 10 საბავშვო ბაღში.

ქედის მუნიციპალიტეტში უხვი ნალექის შედეგად საავტომობილო მიმოსვლა თითქმის ყველა მიმართულებით შეზღუდულია. სხვადასხვა მიმართულებით იწმინდება როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ასევე ბათუმი-ახალციხის მაგისტრალის ქედის მონაკვეთი. სასწავლო პროცესი ჩაიშალა მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლასა და არცერთ საბავშვო ბაგა-ბაღში.

ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებთან და სოფლებთან მიმოსვლა შეზღუდულია შუახევის მუნიციპალიტეტშიც. თუმცა შეუფერხებლად გადაადგილდება ტრანსპორტი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის შუახევის მონაკვეთზე. სასწავლო პროცესი არ შედგა 22 საჯარო სკოლასა და არცერთ საბავშვო ბაღში.

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ხულოს მონაკვეთზე ტრანსპორტის გადაადგილება შეფერხებულია. ინტენსიურად იწმინდება გზები სხვადასხვა მიმართულებით. მუნიციპალიტეტს მიეწოდება ელექტროენერგია. სასწავლო პროცესი არ შედგა 6 საჯარო სკოლასა და 12 საბავშვო ბაგა-ბაღში.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე ტრანსპორტის გადაადგილება შეზღუდულია ზოგიერთ მონაკვეთებში. ბათუმი-ხულოს მონაკვეთის 44 კმ-ზე მეწყერია ჩამოწოლილი, მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები.

ენერგო-პრო-ჯორჯიას ინფორმაციით, აჭარაში შუქი არ მიეწოდება 400 აბონენტს. შესაბამისი სამსახურები ინტენსიურად მუშაობენ დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენაზე. ბუნებრივი აირი შეუფერხებლად მიეწოდება რეგიონის ყველა აბონენტს.

ბათუმსა და ქობულეთში ნალექის რაოდენობა მცირეა, გზებზე შეფერხებები არ ფიქსირდება.

შენებაში განვლილი ცხოვრება

თამაზ შილაკაძემ სიბერე დაამარცხა

ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ტრანსპორტის განყოფილების გამგეს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს და თბილისის საპატიო მოქალაქეს თამაზ შილაკაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

დიდი და სახელოვანი ცხოვრებისეული გზა განვლო ბატონმა თამაზმა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის გზაზე. სრულიად ახალგაზრდა სათავეში ჩაუდგა საავტომობილო გზების დაპროექტებისა და კვლევა-ძიების საცდელ სტაციონარულ სადგურს და იგი აიყვანა დღევანდელი „საქგზამეცნიერების“ მაღალ აკადემიურ დონემდე. ამ ინსტიტუტში ადრეც მოღვაწეობდნენ და დღესაც მუშაობენ საგზაო დარგის პროფესიონალი მუშაკები. დღეს აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს საქართველოს საავტომობილო გზების დარგისათვის ახალგაზრდა კადრების მომზადების ძირითად სამჭედლოს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების, ხიდებისა და გვირაბების სპეციალობის კურსდამთავრებულებისათვის ძალზე პრესტიჟულია ამ ინსტიტუტში მუშაობის დაწყება, ხოლო სატრანსპორტო ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის ასევე სასურველია უშუალოდ თამაზ შილაკაძის ხელმძღვანელობით მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი თამაზი თავისი სამსახურებრივი კარიერის გარკვეული პერიოდის მანძილზე იყო საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მას არ დაუტოვებია მშობლიური ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა და მუშავდება მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის, ქ. თბილისის სატრანსპორტო ქსელის განვითარების თითქმის ყველა პროექტი. მისი ხელმძღვანელობით დაპროექტდა და აშენდა ახალი საგზაო მაგისტრალი მდ. ვერეს ხეობაში.

გარდა იმისა, რომ ბატონი თამაზი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, იგი ამავე დროს კარგი მეგობარიცაა, ზრუნავს ვეტერან მეგზევეებზე, იწვევს მათ კონსულტანტებად, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას. იგი ღირსეულად აგრძელებს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ინჟინრის, საქართველოში საგზაო დარგის განვითარების ფუძემდებლის გიორგი რობიტაშვილის გზას. ბატონმა თამაზმა საფუძველი ჩაუყარა საავტომობილო გზების დარგში ოჯახური დინასტიის ჩამოყალიბებას, შვილი გიორგი შილაკაძე უკვე ცნობილი მეგზევეა და მამის კვალს აგრძელებს, ასევე მეგზევეა ბატონ თამაზის შვილიშვილი — უმცროსი თამაზ შილაკაძე.

ჩვენ, მისი კოლეგები, რომლებსაც უახლოესი ურთიერთობის არაერთი წელი გვაკავშირებს ბატონ თამაზთან, გულითადად ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს. მუდამ ასეთი ენერგიული და ხალისიანი გვენახოს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს ქვეყნის აღმშენებლობის დიად საქმეში. ღმერთმა უმრავლოს ასეთი ადამიანები სრულიად საქართველოს.

ოთარ კერვალიშვილი,
დამოუკიდებელი ექსპერტი საგზაო დარგში,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

„სადაც ხიფათია, გადამრჩენლების რიცხვიც იზრდება“...

ბერლინის 67-ე კინოფესტივალმა არა მარტო საინტერესო ფილმებით გაგვაოცა, არამედ მზიანმა, თბილმა ამინდმაც გაანებივრა ბერლინელები და დედაქალაქის სტუმრები. ბერლინმა უხვად გასცა სითბოც და სიყვარულიც. ბერლინალეს დირექტორმა დიტერ კოსლიკმა თავის მისასალმებელ სიტყვაში ფრიდრიხ ჰოლდერლინის იმედით სავსე სიტყვებით მიმართა მსმენელს: „Wo aber Gefahr ist, wachst das Rettende auch“ (ქართულ ენაზე დაახლოებით ასე ჟღერს: სადაც ხიფათია, გადამრჩენლების რიცხვიც იზრდებაო).

ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ბერლინალე ფრანგი რეჟისორის ეტიენ კომარის ფილმით „ჯანგო“ გაიხსნა. 1943 წელი. საფრანგეთი გერმანელებს უკავიათ. ჯანგო რაინჰარდი — გიტარისტი და კომპოზიტორი პარიზელებს თავისი ჯადოსნური ჰანგებით აოცებს. გერმანიის ნაცისტური აპარატის წარმომადგენელი ჯანგოს მოსთხოვს კონცერტი ბერლინშიც გამართოს, რაზედაც მუსიკოსის უარს მიიღებს. ჯანგოს სიცოცხლე საფრთხეშია. მეგობარი ქალის დახმარებით იგი იძულებული ხდება, დატოვოს პარიზი და შვეიცარიაში გადავიდეს...

ჩვენ როგორც გერმანული კინოს თაყვანისმცემელნი, ორ გერმანულ ფილმზე მოგითხრობთ მოკლედ. ავსტრიელი მიხეილი თავის მეგობარ ქალთან ერთად ბერლინში ცხოვრობს. ყოფილ მეუღლესთან და 14 წლის ვაჟ ლუისთან კონტაქტი გაწყვეტილი აქვს. როცა მიხეილის მამა გარდაიცვლება, მამა-შვილი ერთად წავლენ ნორვეგიაში დაკრძალვაზე. რასაკვირველია, ამდენი ხნის პაუზის შემდეგ მიხეილს და ლუისს უჭირთ ერთად ყოფნა, მამა-შვილს ერთმანეთი ეუცხოებათ. დაკრძალვა რომ ჩაივლის, მამა შესთავაზებს ვაჟს, რამდენიმე დღე მთაში იმოგზაურონ. ეს ერთგვარი მოგზაურობაა თავიანთ წარსულში, მაგრამ საერთო წარსულიც ძნელი წარმოსადგენია ორივესთვის, იმდენად გაუცხოებული არიან. კონფლიქტების ფონზე მამა-შვილი ხელახლა პოულობენ ერთმანეთს. გრძნობის დაბადებაზეა ეს ფილმი. „თეთრი ღამეები“ („Helle Nachte“), რომელიც თომას არსლანმა გადაიღო შესანიშნავ მსახიობთა ანსამბლით, როგორიცაა გეორგ ფრიდრიხი, ტრისტან გოებელი, მარი ლოიენბერგერი, ჰანა კარლბერგი.

ფოლკერ შლონდორფი — გერმანული კინოს კორიფე, ოსკაროსანი კინორეჟისორი წლევანდელ ბერლინალეზე წარდგა ფილმით „დაბრუნება მონტაუკში“ („Ruckkehr nach Montauk“). მონტაუკი მაქს ფრიშის ნაწარმოების სახელწოდებაცაა, რომელსაც ქვემოთ მწერალმა „მოთხრობა“ მიაწერა ტიტრებივით. „ჰომო ფაბერზე“ მუშაობის დროს შლონდორფი და მაქს ფრიში ხშირად საუბრობდნენ ამ მოთხრობაზე და მის მიხედვით ფილმის გადაღებაც სურდათ...

60 წლის მწერალს მაქს ცორნს, რომელსაც შესანიშნავად ასახიერებს ნორვეგიელი მსახიობი სტელან სკარსგარდი, ნიუ-იორკში თავისი წიგნის პრეზენტაცია აქვს, სადაც ცოლი კლარა ელოდება. ნიუ-იორკშივე ხვდება მაქსი თავის ძველ სიყვარულს რებეკას, რომელიც წარმოშობით აღმოსავლეთ გერმანიიდანაა, ნიუ-იორკში ცხოვრობს და წარმატებული ადვოკატიცაა. ისინი ერთად წავლენ მონტაუკში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე სოფელში, სადაც ოდესღაც თავიანთი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები გაატარეს. ახლაც ცდილობენ ურთიერთობის აღდგენას, ერთმანეთის ხელახლა პოვნას, თუმცა ისიც იციან, რომ ცხოვრებაში ერთი დიდი, დაუვიწყარი სიყვარულია, რომელიც თუ დაკარგე, რაც არ უნდა ეცადო, ვეღარ დაიბრუნებ...

ჰელენე ვიტტეკი,
ლია ვიტტეკი

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გაზრდილ გადასახადებთან დაკავშირებით სემეკი მოქალაქეებს მიმართავს

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) ეხმაურება მედიისა და სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გაზრდილ გადასახადებთან დაკავშირებით.

კომისია მიმართავს მოქალაქეებს და მოუწოდებს, რომ გაზრდილ გადასახადთან დაკავშირებით მიმართონ შესაბამის გამანაწილებელ კომპანიას ან განცხადებით მომართონ კომისიას და კომისიასთან დამოუკიდებლად არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს. ასევე, მოქალაქეებს კომისიაში კონსულტაციების გავლა შეუძლიათ ქოლ ცენტრის საშუალებითაც ნომერზე — 16 216. კომისია ინდივიდუალურად შეისწავლის მოქალაქეთა განცხადებებს და იმ შემთხვევაში თუ მოკვლევის შედეგად დადასტურდება ზედმეტი დარიცხვა, მოქალაქეებს თანხა ჩამოეწერებათ.

კომისია აქვე განმარტავს, რომ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები არ გაზრდილა.

ახალი ხიდი საქართველო-სომხეთის საზღვარზე

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა სხდომაზე რამდენიმე ხელშეკრულება განიხილა, რომელიც დეპუტატებს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ გაცნო.

„საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (სადახლო-ბაგრატაშენის ხიდის პროექტი)“ სასესხო შეთანხმება განიხილა, რომლის მიხედვით, EBRD-მა საქართველოს სესხის სახით, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტზე ხიდის მშენებლობისთვის 6 მლნ. ევრო გამოუყო. წარმოდგენილი სასესხო შეთანხმებით, სესხის ხანგრძლივობა 15 წელს შეადგენს, მათ შორის, 3 წელი შეღავათიანია, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და დამოკიდებულია EURIBOR-ზე.

„სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ხიდის ნაწილის მშენებლობისთვის, სომხეთსა და EBRD-ს შორის, სასესხო შეთანხმება უკვე გაფორმებულია, რომლის ფარგლებში მათ 10 მლნ. ლარი აქვთ გამოყოფილი“, — განმარტა გიორგი კაკაურიძემ. მისივე განმარტებით, აღნიშნულ პროექტს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს.

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შემოყვანა აღარ აიკრძალება

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტთა პაკეტიდან ეს მუხლი უკვე ამოღებულია, თუმცა უცვლელი რჩება ე.წ. უკონტაქტო პატრულირება და მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა. შსს-ს მიერ ერთი წლის წინათ ინიცირებული კანონპროექტის განხილვა პარლამენტში ორშაბათიდან განახლდება.

„პარლამენტმა დეკემბერში მიიღო საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, რამაც გარკვეულწილად გააძვირა განბაჟება და ის რისკები, რომ გაიზრდებოდა მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რაოდენობა მარცხენასაჭიანებთან მიმართებაში და გაუთანაბრდებოდა მათ, ეგ რისკები შემცირდა. შესაბამისად, ჩვენ მკაცრ მიდგომებს აღარ მოვითხოვთ და ეს ნაწილი ამოღებული იქნება კანონპროექტიდან, ანუ არ აიკრძალება მარჯვენასაჭიანები. ვისაც ულირს, რომ ამ ფასად შემოიყვანოს, შესაძლებელი იქნება,“ — განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა.

სოხუმი აფეთქების მოლოდინში, ნაცნობი „პროზა“ ცხინვალში და მდუმარე თბილისი

***საქართველოს** რუსეთის მიერ ოკუპირებულ ორივე ტერიტორიაზე — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მორიგი დე ფაქტო არჩევნები მოახლოვდა: სოხუმში — საპარლამენტო, ცხინვალში — საპრეზიდენტო. თუმცა სხვაობა მხოლოდ ასარჩევ სახელისუფლებო ინსტიტუტში არ მდგომარეობს, განსხვავებულია პროლოგიც და, შესაბამისად, მოლოდინიც: სოხუმი ისედაც განხეთქილებით მოცული აფხაზური საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორის დაპირისპირების შესაძლო მორიგი ტალღითაა შეშფოთებული, ცხინვალში კი ყველაფერი ბევრად პროზაულადაა: ყველამ წინასწარ იცის, ვინ გაიმარჯვებს — მოსკოვმა ხომ ეს უკვე დიდი ხანია, განსაზღვრა. თუმცა ყველას ესმის ისიც, რომ საბოლოოდ, რაც არ უნდა მოხდეს აფხაზეთში, კრემლი პროცესებს უკონტროლოდ არც იქ დატოვებს. თავის მხრივ, თბილისი, რომელმაც ზემოთქმული ასევე ძალიან კარგად უწყის და ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლს ვერ ახორციელებს, დე ფაქტო არჩევნებს უბრალოდ „უყურებს“, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით. მათთვის, ვინც ოფიციალური თბილისის პასიური პოზიციის მიუხედავად, მაინც ინტერესდება დე ფაქტო არჩევნებით, მოკლედ მიმოვიხილავთ წინასაარჩევნო ვითარებას როგორც ერთ, ისე მეორე ოკუპირებულ რეგიონში. მასალის პირველი — წინამდებარე ნაწილი ცხინვალს ეძღვნება, მეორეში კი, რომელსაც მოგვიანებით შემოგთავაზებთ, აფხაზეთზე ვისაუბრებთ.*

დავიწყოთ ოსური „პროზით“.

ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრმა ცხინვალში ანალიტიკური მოხსენება გამოაქვეყნა სახელწოდებით „საპრეზიდენტო კამპანია — 2017: ტესტი სტაბილურობაზე“. თავად სახელწოდება უკვე შეიცავდა მთავარ მესიჯს ოსური პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოებისთვის, რა სურს და რას ელის კრემლი ცხინვალისგან.

მათთვის, ვინც ამ მესიჯის არსს პირველივე ჯერზე ვერ ჩაწვდა, მოხსენების ავტორებმა ღიად განმარტეს, რომ მოსკოვის ფავორიტები მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი ან ოსური პარლამენტის სპიკერი ანატოლი ბიბილოვი იქნებოდნენ — ერთი და იგივე მმართველი პარტიის ორი წარმომადგენელი, რომელთა რეალური კონკურენტობის ცხინვალში ცოტას თუ სჯერა.

გასულ კვირას კრემლმა „კარტი გახსნა“: პრეზიდენტ პუტინის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის ცხინვალში ვიზიტმა საბოლოოდ გამოააშკარავა, ვისი „სული“ სურს მოსკოვს. ეს „იღბლიანი“ კვლავ ლეონიდ თიბილოვია, რომელიც, როგორც ჯერ კიდევ ივლისის მოხსენებაში იყო ნათქვამი და შემდეგ უკვე სურკოვის ვიზიტის დროსაც არაერთხელ აღინიშნა, „დემონსტრაციულად ახდენდა ორი სახელმწიფოს (იგულისხმება რუსეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) ინტეგრაციის გაღრმავების კურსის რეალიზებას, ძალუძს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უზრუნველყოს მის ირგვლივ კონკურენტი ადგილობრივი კლანების კონსოლიდაცია და რუსეთის წინაშე 2015 წელს სტრატეგიული თანამშრომლობისა და მოკავშირეობის შესახებ ხელმოწერილი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მათ შორის — რუსეთის მიერ გამოყოფილი დახმარების თანხების მიზნობრივად და გამჭვირვალედ ხარჯვა“.

ამ დახასიათებიდან ნათლად გამოიკვეთა ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში კრემლის მთავარი პრიორიტეტები: ა) შიდაპოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება და ბ) მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების განუხრელად შესრულება, ფინანსური დახმარების თანხების მიზნობრივად ხარჯვის ჩათვლით.

სათადარიგო კანდიდატი ანატოლი ბიბილოვი, ადგილობრივ ანალიტიკოსთა ვარაუდით, საბოლოოდ კრემლის მიერ ზემოხსენებული ორი ძირითადი პირობიდან პირველთან შეუსაბამობის გამო „დაიბრაკა“, თორემ მეორეს 100%-ით აკმაყოფილებდა.

რაც შეეხება დე ფაქტო ექსპრეზიდენტ ედუარდ კოკოითს, რომლის პოლიტიკური მკვდრეთით აღდგომა დე ფაქტო არჩევნების ერთადერთ ინტრიგად შეიძლებოდა, ქცეულიყო, მისი საარჩევნო ეპოპეა, როგორც ჩანს, დასასრულს მიუახლოვდა. და ესეც წინასწარ იყო განსაზღვრული. მას ივლისის მოხსენებაშივე მოიხსენიებდნენ აუტსაიდერად და „სერიოზულ მადესტაბილიზირებელ ფაქტორად, თავისი რევანშისტული განწყობების გათვალისწინებით“, ისევე, როგორც რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ძამბოლათ თედეევს. გასულ კვირას ცხინვალში ვლადისლავ სურკოვის ვიზიტის დროს კი დადასტურდა, რომ ამ ორი კანდიდატის მიმართ კრემლის უკიდურესად ნეგატიური განწყობა საბოლოოა და აღარ შეიცვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს, როდესაც იმხანად დე ფაქტო პრეზიდენტი ცდილობდა, კანონმდებლობა შეეცვალა, რათა მესამე ვადით გაპრეზიდენტება შესძლებოდა, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა სერგეი ნარიშკინმა განაცხადა, რომ „მოსკოვი კოკოითის მესამე ვადას არ დათანხმდებოდა“. და როგორც ნიკოლაი სილაევი ამბობს, მას შემდეგ არც პერსონის მიმართ დამოკიდებულების, არც სამართლებრივი კუთხით შეცვლილა რამე:

კოკოითის საარჩევნო ისტორია, ისევე, როგორც პოლიტიკური კარიერა, სავარაუდოდ, საფინიშო სწორზეა. არადა, მის გარეშე მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანია ამ ერთადერთ ხიბლსაც კარგავს და მთლად „პროზაული“ ხდება. სწორედ მისმა გამოჩენამ გააღვივა ადგილობრივ მოსახლეობაში არჩევნებისა და წინასაარჩევნო კამპანიისადმი ფაქტობრივად განულებული ინტერესი და ცოტა ხნით მაინც გადაავიწყა თიბილოვისა და ბიბილოვის ვითომდა განსხვავებულ გუნდებს შორის გამუდმებული კინკლაობით გადაღლა. რამდენიმე საჯარო გამოსვლის შემდეგ კოკოითის რეიტინგმა სწრაფად დაიწყო ზრდა. და ახლაც კი, როდესაც კრემლის გარჯით, მისი შანსები თითქოს გამქრალია, კოკოითი საკუთარ პერსონაზე ყურადღების შენარჩუნებას ახერხებს. როგორც ჩანს, ხალხს სჯერა, რომ ესოდენ გამოცდილ აქტორს სათადარიგო გეგმა გააჩნია.

და, როგორც ჩანს, მთლად დარწმუნებული კოკოითის საბოლოოდ „გაუვნებელყოფაში“ არც მოქმედი დე ფაქტო ხელისუფლებაა. ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივ გაზეთ „Южная Осетия“-ს ინფორმაციით, საჯარო დაწესებულებებში წინასაარჩევნოდ დასმენების შემთხვევები გახშირდა: ზოგიერთი თანამშრომლები საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევენ, ან ვიღაც ავალდებულებთ, რეგულარულად ჩააყენონ საქმის კურსში ხელმძღვანელობა კოლექტივებში არსებული პოლიტიკური განწყობების თაობაზე.

ამ განწყობებში გასარკვევად ადგილობრივ უფლებადამცველსა და საზოგადო მოღვაწეს, ფატიმა მარგიონს დავუკავშირდით:

— ფატიმა, რას ელით ამ არჩევნებისგან?

— უპირველესად, მინდა, გითხრათ, რომ წინააღმდეგი ვარ მმართველობის საპრეზიდენტო ფორმის. ჩვენთან იგი ყრუ ფეოდალიზმსა და ფეოდალის განუსაზღვრელ, ავტორიტარულ ძალაუფლებაში გადასვლის ტენდენციას ავლენს, ფეოდალისა, რომელსაც თავი ყოველი მოქალაქის სიცოცხლისა და სიკვდილის, ქვეყანაში ყველას და ყველაფრის, მათ შორის მთელი ფინანსების ერთპიროვნულ განმკარგველად წარმოუდგენია.

არჩევნებს რომ დავუბრუნდეთ, ჯერჯერობით კანდიდატები დარეგისტრირებულები არ არიან, მიდის ხელმოწერების შეგროვება. ამის შემდეგ დაიწყება ცესკოში გატარების პროცედურა და მხოლოდ ამის შემდეგ — მთავარი, იმისდა მიხედვით, ვინ გაივლის რეგისტრაციას. თუმცა უკვე დღეს ვითარება საკმაოდ დაძაბულია და ეს, უპირველესად, მოქმედი ხელისუფლების მიმართ 90%-იანი საპროტესტო ელექტორატის არსებობას უკავშირდება.

— და რამდენად ერევა, თქვენი შეფასებით, პროცესებში მოსკოვი? ვგულისხმობ, მაგალითად, პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის ამასწინანდელ ვიზიტსა და მის განცხადებებს, რომელიც ბევრმა ანალიტიკოსმა თიბილოვის ღია მხარდაჭერად და კოკოითისთვის საბოლოო კრიტიკულ გზავნილად აღიქვა...

— ვფიქრობ, მოსკოვს რეალურად, სამი ძირითადი კანდიდატიდან ნებისმიერი აწყობს. თუმცა ხალხში განხეთქილებაა. ყველა კანდიდატის წინააღმდეგ განწყობილი ამომრჩევლის რაოდენობა 60%-ს აღწევს. ამავდროულად, არც ერთი ამ სამი დაჯგუფებიდან არ აპირებს, აიტანოს მეორე. მართალია, გამორიცხული არ არის, მოქმედმა ხელისუფლებამ მოწინააღმდეგეებთან გარიგება სცადოს და ისეთი სურათი შექმნას, თითქოს გარკვეულ დათმობებზე წავიდა მათთან, თუმცა წინააღმდეგობები მეტისმეტად სერიოზულია. როგორც მოქმედი პრეზიდენტის, ისე ბიბილოვისა და კოკოითის, ასევე ორი სხვა კანდიდატის ელექტორატი საპროტესტოდ განწყობილთაგან შედგება. ვფიქრობ, სწორედ ელექტორატის ასეთ — 5 კანდიდატად დაყოფაზე დებს ფსონს მოქმედი ხელისუფლება ამ ვითარებაში უმრავლესობის მოპოვების იმედით. თუმცა ეს კარგად ესმით ორი სხვა დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერებს.

რაც შეეხება მოსკოვს, შესაძლოა, სურკოვს ან ვინმე სხვას უფრო აწყობდეს თიბილოვი, თუმცა ეს ამ უკანასკნელს არ ჰმატებს ხალხის მხარდაჭერას, პირიქით, მოქმედებას იწყებს წინააღმდეგობისა და თავად სურკოვის უარყოფის ფაქტორი, როგორც ფიგურისა, რომელიც ხალხის მიერ უარყოფილ პრეტენდენტს უცხადებს მხარდაჭერას.

— და რით შეიძლება დასრულდეს ეს ყველაფერი? მოვლენათა განვითარების რა შესაძლო სცენარებს ხედავთ?

— ამ მომენტისთვის არჩევნების შედეგები არაპროგნოზირებადია. თუმცა ჩემი აზრით, ყველაფერი საპარლამენტო სისტემაზე გადასვლისკენ მიდის. ყველა დაიღალა უკანონობითა და განუკითხაობით...

— თვლით, რომ მოსკოვი ამას დაუშვებს, თუ ასეთი იქნება ოსი ხალხის ნება?

— თუ მოვახერხებთ ორგანიზებას, ვფიქრობ, კი. ანალოგიური პროცესები მიდის, რამდენადაც ვიცი, აფხაზეთშიც. ვნახოთ.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“.

მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით.

ავსტრალიის პრემიერმა ტრამპი გააკრიტიკა

ამის მიზეზი თეთრი სახლის ლიდერის მიერ მედიის წინააღმდეგ გაკეთებული მწვავე განცხადებები გახდა. ტრამპმა ჟურნალისტებს ოპოზიციონერები უწოდა და ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. ავსტრალიის პრემიერი ტრამპის განცხადებებს უინსტონ ჩერჩილის ცნობილი ფრაზით გამოეხმაურა. „პოლიტიკოსები, რომლებიც გაზეთებს უჩივიან, იმ მეზღვაურებს ჰგვანან, ვისაც ზღვა არ უყვარს,“-აღნიშნა მალკოლმ ტერნბულმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბონში სასტუმროს გარეშე დარჩა

ამის შესახებ გამოცემა ბლუმბერგი იტყობინება. პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი რექს ტილერსონმა გერმანიაში გამართა, თუმცა დიდი ოცეულის სამიტში მონაწილეობის გადაწყვეტილება გვიან მიიღო. ბონში დაგვიანებით ჩასულ სახელმწიფო მდივანს ყველა სასტუმრო დაჯავშნილი დახვდა, რის გამოც ის სანატორიუმში დაბინავდა. ბონში ის უკვე შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს.



სანაას დაბომბვას 10 ადამიანი ემსხვერპლა

იემენში ავიადარტყმის შედეგად დაღუპულებს გლოვობენ. ბოლო მონაცემებით, კოალიციის მიერ სანაას გარეუბნის დაბომბვას 9 ქალი და ერთი ბავშვი ემსხვერპლა. საჰაერო იერიში სოფელ აშირზე 16 თებერვალს განხორციელდა. სახლი, რომელიც კოალიციამ დაბომბა, ხუსიტ ამბოხებულთა ერთ-ერთ მეთაურს ეკუთვნოდა.

ტერაქტი პაკისტანში

პაკისტანმა ავღანეთთან საზღვარი ჩაკეტა. ამის მიზეზი სეხვან-შარიფის პროვინციაში მომხდარი ტერაქტი გახდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა სუფისტი ფილოსოფოსის ლალი შაბხაზის მავზოლეუმში ამოქმედდა, რასაც 74 ადამიანი ემსხვერპლა, 300-მდე კი დაშავდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებამ აიღო.

ჩვენი მეფონაზული ხელმწიფენი





გიორგი II

ძე ბაგრატ IV-ისა. საქართველოს მეფე 1072-1089 წლებში. გიორგი მამაცი და რაინდულად ქველი კაცი იყო, მაგრამ რბილი და მერყევი. მისი სტიქია ნადირობა და ნადიმობა გახლდათ.

1073 წელს მეფეს განუდგნენ ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში და ვარდან სვანთა ერისთავი. მეფემ ისინი დაამარცხა, მაგრამ დასჯის ნაცვლად დაასაჩუქრა: ივანეს სამშვილდე და ლოწობანი მისცა, ნიანიას – თმოგვი, ვარდანს – ასკალანა.

1074 წელს საქართველოს თურქ-სელჩუკები შემოესივნენ. გიორგიმ ისინი ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა. 1079-1080 წლებში საქართველოში თურქთა განუწყვეტელი შემოსევები („დიდი თურქობა“) დაიწყო. ქვეყანა აოხრდა, გაიძარცვა და გაწყდა. გიორგი იძულებული გახდა სულტან მალიქ შაჰს სწვეოდა ზავის ჩამოსაგდებად. მალიქ შაჰმა საქართველოზე ამაოხრებელი ლაშქრობები შეწყვიტა, სამაგიეროდ ხარკის გადახდა დააკისრა.

გიორგიმ კახეთის შემოერთება სცადა და ვეუინის ციხეს ალყა შემოარტყა, რაც მთელი შემოდგომა გაგრძელდა. როცა თოვა დაიწყო, გიორგიმ ვეუინს ალყა მოხსნა და აჯამეთის ტყეებს მიაშურა სანადიროდ. 1088 წელს საქართველო საშინელმა მიწისძვრამ დააქცია. 1089 წ. გიორგი მიხვდა, რომ უმძიმეს კრიზისში ჩავარდნილ ქვეყანას ვერ უშველიდა და მეფობა თავის 16 წლის ვაჟს დავითს გადაულოცა.

გიორგი II-ემ ამის შემდეგ 23 წელი კიდევ იცოცხლა. გარდაიცვალა 1112 წელს.

დავით IV აღმაშენებელი

საქართველოს უდიდესი მეფე (1089-1125 წ.წ.), უბრწყინვალესი მხედარი და მხედართმთავარი, მრავალმხრივი რეფორმატორი და ორგანიზატორი, ბრძენი ხელისუფალი და უგანათლებულესი მწიგნობარი: ჩაიბარა კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა, თურქებისგან დაქცეული და ამოწყვეტილი. გამეფების უმალ შემოიკრიბა გარშემო მამულიშვილები, შეადგინა საკუთარი ჯარი-გვარდია („მონა-სპა“) და დაიწყო ბრძოლა თურქთა გასადევნად, საქართველოს გასათავისუფლებლად და გასაერთიანებლად. გაანადგურა გაურჩებული კლდეკარის ერისთავები ლიპარიტ ივანეს ძე და რატი ლიპარიტის ძე, ასევე ძაგან ერისთავი. 1098 წელს თურქთა სულტანს შეუწყვიტა ხარკის გადახდა. 1101 წელს აიღო ზედაზნის ციხე.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე გაატარა რეფორმა, რომლის ძალითაც საეკლესიო თანამდებობებიდან გადააყენა უღირსი სამღვდელონი. ამიერიდან სასულიერეროთა და საეროთა დაწინაურება ხდებოდა პირადი ღირსებების გათვალისწინებით. დაახლოებით იმავე ჟამს შექმნა დავითმა „სავაზირო“ („მთავრობა“), რომელსაც სათავეში ჩაუყენა მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი. 1104 წელს, ერწუხთან ბრძოლაში გაანადგურა თურქები. 1110 წელს აიღო სამშვილდე. იმავე წელს თრიალეთში მოსპო თურქთა დიდძალი მხედრობა. 1115 წელს თურქებს წაართვა რუსთავი, მომდევნო წელს აიღო გიში და ქალაძორი (შირვანში), 1118 წელს – ლორე და აგარანი.

1118-1119 წლებში ჩრდილოეთიდან გადმოასახლა 200 ათასი ყივჩაღი (40 ათასი ოჯახი). ყოველი ოჯახიდან 1 მეომარი მუდმივ ჯარისკაცად გაამწესეს. ამას გარდა ჰყავდა 5 000 მონა-სპა და ქართველთა ლაშქარი, საჭიროების დროს „ქუდზე კაცის“ დაძახილით, 1118 წელს დაიმორჩილა ოვსეთი, 1120 წელს გაანადგურა თურქები ბორტიასთან, შირვანში აიღო რამდენიმე ციხე-ქალაქი, ილაშქრა სომხეთში, სპარსეთსა და სირიაში. 1121 წელს მოსრა თურქთა მხედრობა ხუნანს, ბარდავს და განძას. იმავე 1121 წლის 12 აგვისტოს გადაიხადა ყველაზე დიდი ბრძოლა საქართველოს ისტორიაში – დიდგორის ომი, სადაც 56 ათასი მებრძოლით სრულიად გაანადგურა მაჰმადიანთა კოალიციური 400-ათასიანი არმია. მომდენო 1122 წელს გაათავისუფლა ტფილისი და სამეფო ტახტიც აქ გადმოიტანა ქუთაისიდან. 1123 წელს აიღო დმანისი, წარმატებით ილაშქრა შირვანში, სომხეთში, თურქები გაანადგურა ხუთ სხვადასხვა ბრძოლაში. 1124 წელს ხელახლა დაიმორჩილა შირვანი და დარუბანდი. მისი სამეფო გადაშლილი იყო ნიკოფსიიდან (ტუაფსე) დარუბანდამდე (დერბენდამდე) და ოვსეთიდან არაგაწამდე (სამხრეთი სომხეთი).

საქართველოში დაიწყო დიდი კულტურული აღმშენებლობა. აიგო გელათი, იქ დააარსა ცნობილი გელათის აკადემია და საზღვარგარეთიდან სამოღვაწეოდ ჩამოიყვანა სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები, ფილოსოფოსები, მათ შორის იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელი“ დავით IV, შემდეგში შთამომავალთაგან აღმაშენებლად წოდებული, გარდაიცვალა 1125 წ. 24 იანვარს. გამეფდა 16 წლის, იმეფა 36 წელი, აღესრულა 53 წლისა. დაკრძალეს გელათში.

დემეტრე (დიმიტრი) I

უფროსი ძე დავით IV აღმაშენებლისა. (სომეხი ქალისგან). საქართველოს მეფე 1125-1156 წლებში. 1117 წელს მამამ დემეტრე შირვანს წარგზავნა სალაშქროდ. დემეტრემ მტერი გაანადგურა და დიდძალი ნადავლით დაბრუნდა. გამეფების წელსავე თურქები გააძევა დმანისიდან და ხუნანიდან. 1138 წელს ილაშქრა განძას, აიღო იგი, მოხსნა მთავარი ალაყაფის კარი და ჩამოიტანა გელათს. (დღემდე იქ ინახება).

სასახლის კარზე დემეტრეს დასამხობად შეთქმულება მოეწყო. შეთქმულნი ტახტზე დავითის უმცროსი ძის (ყივჩაღის ქალისგან) ვახტანგის (ცუატას) აყვანა სურდათ. დემეტრემ შეთქმულებს დაასწრო – ვახტანგს თვალები დათხარა, შეთქმულთ კი თავები დააყრევინა. 1150 წელს მეორე შეთქმულება მოეწყო, ამჯერად მისივე უფროსი ვაჟის დავითის მეთაურობით (დავითი ვერ ურიგდებოდა, რომ დემეტრე სამეფოდ უმცროს ვაჟს გიორგის ამზადებდა), დემეტრემ ამ შეთქმულების ამბავიც დროზე გიგო. შვილს აპატია, მაგრამ მისი თანამოაზრეები კი დაარბია: ზოგი დახოცა, ზოგი საქართველოდან გააძევა. 1153 წ. ანისს შეესია, ამირა სალდუხტი დაამარცხა და თან წამოიყვანა.

1155 წელს მას მაინც წაართვა შვილმა ტახტი. დემეტრე ბერად შედგა დამიანე ბერის სახელით, დავით გარეჯის მონასტერში. იქვე დაწერა ცნობილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“... მისი შვილი, დავით V-ედ წოდებული, გამეფებიდან მეექვსე თვეს გარდაიცვალა. დემეტრემ ბერის ჩოხა გაიხადა და ტახტზე დაბრუნდა. თანამოსაყდრედ უმცროსი ვაჟი გიორგი დაისვა. სულ მალე, 1156 წელს დემეტრე გარდაიცვალა და ტახტი მის ძეს გიორგი III-ეს დარჩა.

დემეტრე დაკრძალეს მისგან დასრულებულ გელათში.

დავით V

დემეტრე I-ის უფროსი ძე, საქართველოს მეფე 1155 წელს. უფლისწულობისას ტახტისთვის ებრძოდა მამას. ბოლოს მაინც ჩამოაგდო ტახტიდან. მაგრამ მეფობით დატკბობა ვერ მოასწრო. 6 თვეში გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათს.

გიორგი III

დემეტრე I-ის უმცროსი ძე. საქართველოს მეფე 1156-1184 წ.წ. დაუცხომლად იბრძოდა საქართველოს სამფლობელო საზღვართა გასაფართოებლად. 1156 წელს კაღზევანს ილაშქრა და გაანადგურა შაჰარმენის მხედრობა. 1161 წელს აიღო და შემოიერთა ანისი. იმავე წელს გაანადგურა 80 000-იანი მუსლიმანური მხედრობა. 1161 წელსვე წარმატებით ილაშქრა არზრუმს და დაატყვევა თვით არზრუმის ამირა, მომდევნო წელს გიორგიმ აიღო დვინი და გაგი. 1167 წელს შარვანს ილაშქრა. იქ ტახტი განუმტკიცა თავის მამიდაშვილსა და ქვეშევრდომს აღსართანს. იმავე წელს ილაშქრა ბასიანს, ნახიჭევანს, ბარდავს, ბელაქანს, 1173 წ. ხელმეორედ აიღო ანისი. და კიდევ ერთხელ სასტიკად დაამარცხა თურქნი. იმავე წელს გიორგის შეთქმულება მოუწყო მისმა ძმისწულმა (დავით V-ის ძემ) დემნა ბატონიშვილმა. გიორგი შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა. დემნას თვალები დასთხარა და დაასაჭურისა, მისი თანამდგომნი კი ამოწყვიტა.



◎ ჭადრაკი

ჩემპიონატს სამი ქართველი შეემორჩა

ირანის დედაქალაქში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ნოკაუტსისტემით ექვს ეტაპად. შეჯიბრებაში რვა ქართველი დიდოსტატი ჩაება. ორი რაუნდის შემდეგ ასპარეზობას სამი მათგანი შემორჩა. მეორე ეტაპზე ნანა ძაგნიძემ ორივე კლასიკური პარტია მოუგო ოლგა ზიმინას (იტალია) და მესამე რაუნდში ჩინელ შენ იანთან გაარკვევს ურთიერთობას. ოთხი ქართველი მოჭადრაკის (პირველ რაუნდში დამარცხდნენ ლელა ჯავახიშვილი, სოფიო გვეტაძე და ბელა ხოტენაშვილი) ბედი რაპიდებსა და ბლიცებს უნდა გადაეწყვიტა. ყველაზე დიდხანს ნინო ხურციძისა და ნინო ბაციაშვილის ორთაბრძოლა გაგრძელდა: მათი კლასიკური პარტიები ყაიმებით დასრულდა, 25 და 10-წუთიან პაექრობებში მეტოქეებმა ორ-ორი ხელი მოიგეს, 5-წუთიანმა ბლიცებმაც შედეგი ვერ გამოღო და გამარჯვებული „არმაგედონს“ (შავებს წუთით ნაკლები ეძლევათ და ყაიმის შემთხვევაში გამარჯვება მათია) უნდა გამოევლინა. შავებით მოთამაშე ხურციძემ მკაცრ გამოცდას გაუძლო და 53-ე სვლაზე მეტოქეს საათი გააჩერებინა. მესამე ეტაპზე იგი ბულგარელ მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონ ანტოანეტა სტეფანოვას დაუპირისპირდება, რომელმაც სალომე მელია დაამარცხა 2.5:1.5. სოფიკო გურამიშვილმა ბლიცებში აჯობა უკრაინელ დიდოსტატ ნატალია ბუკსას 1.5:0.5 (საერთო ანგარიში - 4.5:3.5) და მერვედფინალში დინარა სადუაკასოვას მძლეველ (2.5:1.5) ჰარიკა დრონავალის (ინდოეთი) გაუწევს მეტოქეობას.

ლექსო ცინცაძე

◎ ფარიკაობა

საევროპედ ემზადებიან

პირველი მარტიდან ბულგარული პლოვდივი 17 და 20-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ნაკრების წევრთა შესარჩევად კადეტებსა და იუნიორებში საქართველოს პირველობა გაიმართა, რომელშიც დედაქალაქის, ქუთაისის, ზესტაფონის, რუსთავის, გარდაბნის, ოზურგეთის, აჭარისა და აფხაზეთის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ასპარეზობის ბოლო ორი დღე დაშნით მოფარიკავეებს დაეთმოთ (მოხმალავეთა და რაპირისტთა ორივე ასაკის შედეგები უკვე გაუწყეთ).

კვარცხლბეკი

დაშნა

17-წლამდელები. გოგონები. 1. თინათინ ნუცუბიძე (ქუთაისი), 2. ანა მაჩიტიძე (ზესტაფონი), 3. ელენე შუბითიძე (თბილისი), მარგალიტა გრიგალაშვილი (ქუთაისი); **ვაჟები.** 1. გაგა ხიჯაკაძე (თბილისი), 2. დიმიტრი კოვალიოვი (რუსთავი), 3. გიგა თოდაძე, ალექსანდრე ხვარცკია (ორივე-თბილისი).

20-წლამდელები. გოგონები. 1. ანა ბიბიჩაძე, 2. ნინო გაბუნია, 3. თინათინ ნუცუბიძე, ქრისტინე მიქაძე (ყველა — ქუთაისი); **ვაჟები.** 1. გელა მჟავია (ოზურგეთი), 2. დავით მაგრაქველიძე (თბილისი), 3. გიორგი კვაჭაძე (ოზურგეთი), კახაბერ მიქაძე (ქუთაისი).

საქართველოს პირველობის შედეგების გათვალისწინებით პლოვდივში გაემგზავრებიან ხმალში საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები: 20-წლამდელებში — ნიკა შენგელია, ვაჟა რეჭია, ლიკა ჯიჯიეიშვილი და ანა აფრასიძე, 17-წლამდელებში — მარიამ აფციაური, ნინი ნიქაბაძე, თამარ ჩარკვიანი, ნიკოლოზ ჭეიშვილი, ვახტანგ არჩვაძე და გიგა კაკაურიძე, რაპირაში თემურ ჟუჟუნაშვილი და ლაშა გალუაშვილი იასპარეზებენ. დაშნით ფარიკაობაში არავინ გვეყოლება, რადგან, მწვრთნელთა აზრით, ისინი საამისოდ მზად არ არიან.

კადეტთა და ახალგაზრდების ევროპის პირველობამდე უფროსებში საქართველოს ხმლით მოფარიკავე ვაჟთა ნაკრები (სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე, არბიტრი ზაზა მჭედლიძე) ვარშავაში მსოფლიოს თასის ეტაპის პირად-გუნდურ შეჯიბრებაში მოსინჯავს ძალებს.

ლაშა დიდია



◎ კალათბურთი

წაგების ხიბლი

„რეალი“ — „ანდორა“ 99:93.

(დამატებით დროში. ძირითადი დრო 86:86)

ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმრები 15 ქულითაც კი დაწინაურდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც „სამეფო კლუბმა“ პერიმეტრის გარედან ზუსტ ტყორცნებს მოუხშირა, უპირატესობა თვალსა და ხელს შუა დადნა. აღსანიშნავია, რომ რენდოლფმა ანგარიში სწორედ სამქულიანით გაათანაბრა ძირითადი დროის დასრულებამდე 4 წამით ადრე, ხოლო ოვერტაიმში მასპინძელთა შეჩერება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

მართალია, „ანდორა“ სამეფო თასის გათამაშებას გამოეთიშა, მაგრამ ამ გუნდის გასაკრიტიკებლად კაცს ენა არ მოგიბრუნდება.

კონტინენტის ყველაზე ტიტულოვანი კლუბისა და წლევანდელი ევროლიგის ერთ-ერთი ლიდერის სახით ქართველ ლეგიონერებსა და მათ პარტნიორებს მრისხანე მეტოქე ჰყავდათ. მადრიდში გამართული ეს მატჩი თამამად შეგვიძლია აქტივში ჩავუთვალოთ ჩვენს თანამემამულეებს.

რაც შეეხება „ჯვაროსნებს“, მატჩის საუკეთესო ბომბარდირმა გიორგი შერმადინმა 27 ქულა მოაგროვა, ბექა ბურჯანაძემ კი — 7.

სამაგიეროდ, ნახევარფინალში ითამაშებს „ბასკონია“, რომელმაც „ტენერიფეს“ სძლია 90:81. მოგეხსენებათ, თორნიკე შენგელია ტრავმირებულია და ბასკებს ვერც ამჯერად დაეხმარა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი ასეულში დამკვიდრდა

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი ბოლო დროს აღმავლობით თამაშობს და მსოფლიო კლასიფიკაციით ასეულის წევრებს ზედიზედ ამარცხებს. ბულგარეთის ტურნირის შემდეგ მემფისის (აშშ) ღია პირველობაზე გადაინაცვლა. პირველ წრეში იგი რეიტინგით 67-ე საფეხურზე მდგომ 22 წლის ავსტრალიელ ჯორდან ტომპსონს (63-ე) დაუპირისპირდა. წლეულს 10 იანვარს მწვანე კონტინენტზე მასპინძელმა 2:0 (7:5, 6:2) სძლია ბასილაშვილს. მემფისში ქართველმა ჩოგბურთელმა ღირსეული რევანში აიღო: პირველ სეტში ნიკამ ორი ბრეიკით 6:3 აჯობა ტომპსონს, მეორე ხელში კი მეტოქეს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა - 6:0 გაიმარჯვა და მერვედფინალში გავიდა, სადაც ასპარეზობის რეიტინგფავორიტს, 37 წლის ხორვატ ივო კარლოვიჩს (რეიტინგით მე-20) დაუპირისპირდა. და აი, მორიგი წარმატება. პირველი ხელი ჩვენებურებმა ტაიბრეიკით მოიგო 7:6, მეორეში 6:3 მიაღწია წარმატებას და ახლა მეოთხედფინალში მოსინჯავს ძალებს.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

გიორგი ქვილითაია:

მიზანი — 13 გოლი

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ქვილითაია ვენის „რაპიდს“ ნაბიჯ-ნაბიჯ გაუშინაურდა. თუ თავიდან მას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირდა, ახლა ეს პრობლემას აღარ წარმოადგენს, სათამაშო პრაქტიკის მიღებასთან ერთად კი 23 წლის ქართველმა ფორვარდმა გოლების გატანაც დაიწყო.

ამ დროისთვის ქვილითაიას ანგარიშზე ავსტრიულ გუნდში 6 გოლია — 4 ბუნდესლიგაში, ერთი ავსტრიის თასზე და ერთიც ევროპა ლიგაზე.

გიორგისთან „რაპიდის“ ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ინტერვიუ ჩაწერა, რომელშიც ძირითად გუნდში მიმდინარე პროცესებსა და ადაპტაციის პერიოდზე გაესაუბრა.

— გილოცავთ დერბიში გატანილ გოლს. რა ემოცია დაგეუფლათ, როდესაც თავური დარტყმის მერე ბურთი კარში აღმოჩნდა?

— ძალიან ბედნიერი ვიყავი. დიდი ხანია ვიცოდი, რომ დერბი ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია, მათ შორის, საქართველოში ყოფნის დროსაც. „რაპიდი“ — „აუსტრიას“ მატჩში პირველად ვითამაშე და გვინდოდა გამარჯვება, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა.

— ადაპტაციის პერიოდის შემდეგ ბოლო კვირებში უკეთ ათამაშდით და გუნდს მუდმივად ნაყოფიერად ეხმარებით. გოლებიც გაიტანეთ — ჯერ „შტურმის“, მერე „რიდის“ (დუბლი) და ახლა „აუსტრიას“ კარში. შეგიძლიათ უფრო მეტი?

— დიახ, რა თქმა უნდა. ყველა ფეხბურთელისთვის რთულია უცხო ქვეყანაში პირველი დღეები — ახალი ქვეყანა, ახალი ქალაქი, ახალი გუნდი. ამიტომაც დროა საჭირო. თუმცა, როგორც თქვით, ახლა უკეთესად ვთამაშობ და, იმედია, ასევე გავაგრძელებ (იღიმის).

— როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს, როგორც თავდამსხმელს — უფრო კომბინაციური ფეხბურთის ფორვარდი თუ საჯარიმოსი?

— მგონია, რომ უკეთესად საჯარიმოში ყოფნის დროს ვთამაშობ. ამ პოზიციაზე თბილისის "დინამოში" გამოვდიოდი. „რაპიდში“ რაც გადმოვედი, ჯამში 6 გოლი გავიტანე და მიმდინარე სეზონში მიზანი მაქვს, მინიმუმ 13 გოლი შევაგდო. ეს ჩემი საყვარელი ნომერია. „დიორში“ 13 — ნომრიანი მაისური მეცვა.

— თითქოს „რაპიდში“ დიდი ხანია თამაშობთ. რა დაგეხმარათ ამაში, ის, რომ გუნდი ძალიან ახალგაზრდულია?

— შესაძლოა, მაგრამ მხოლოდ ეს არაა მიზეზი. გუნდში ძალიან თბილად მიმიღეს. ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— სატურნირო ცხრილში „რაპიდი“ მაღალ პოზიციაზე არაა და ჩამორჩენაც დიდია. როგორ ფიქრობთ, შეუძლია გუნდს ზედა ნაწილში გადაინაცვლოს?

— სანამ შანსი არსებობს, ეს რეალურია. რა თქმა უნდა, ძალიან რთული იქნება, მაგრამ წინ ბევრი თამაშია. არჩევანის გაკეთება ჩემპიონატსა და თასს შორის არ მგონია სწორი იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ სატურნირო ცხრილში ახლა უკან ვართ. ჯერ კიდევ ბევრი ქულაა გასათამაშებელი. ასე რომ, ორივე ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია.

გიორგი შოთაძე

◎ უკვდავება

ბაჩანური პრელუდიები

ერთი წელიწადი გასულა ბაჩანა ბრეგვაძის გარდაცვალებიდან. რა ადვილად ვეგუებით ასეთ პიროვნებებთან განშორებას, თითქოს, ბევრი გვყავდეს...

ორი წლის წინათ

მირეკავს მწიგნობართა ასოციაციიდან ბატონი შოთა კობიაშვილი და მთხოვს: სერვანტესის საიუბილეოდ, ბაჩანა ბრეგვაძე ხომ არ დაგვიწერდა? იქნებ თქვენ უფრო არ გითხრათ უარი...

ვურეკავ ბატონ ბაჩანას.

ცოტა აფორიაქებული ჩანს.

პასუხი:

„ვერ შევძლებ. არ მაქვს იმდენი ცოდნა და მასალა, სერვანტესზე რომ დავწერო“...

ხმას ვერ ვიღებ.

ბაჩანა ბრეგვაძეს ასე ხომ ვერ დაელაპარაკები: „რას ბრძანებთ, ბატონო ბაჩანა, თქვენ თუ ცოდნა და მასალა არ გაქვთ, მაშინ“...

არადა, ზუსტად ასე ვფიქრობ და ანას სტრიქონები მახსენდება: „თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო, რაღა ჰქმნან ცოდვილთ“...

კიდევ კარგი, რომ პასუხიც იქვეა: „თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა ოდით და ოდით?“..

* * *

მე კი რა ადვილად ვბედავ ბაჩანა ბრეგვაძეზე წერას?

არა, ადვილად ნამდვილად არ ვბედავ.

პირიქით.

მხოლოდ ეს თუ გამამართლებს.

ისე, სხვათა შორის, ზოგიერთი მცოდნე საკმაოდ უფერული სტატიით გამოეთხოვა.

ნუთუ, მთაწმინდა მასაც ვერ აპატიეს?!.

გვირგვინი

ახლახან გამოიცა ბაჩანა ბრეგვაძის ბიობიბლიოგრაფია, რომელმაც კიდევ უფრო ცხადად დაგვანახა გამოჩენილი მთარგმნელისა და მოაზროვნის ტიტანური შრომის განსაცვიფრებელი ნაყოფი.

ერთ-ერთ თავის მონუმენტურ ნაშრომს („ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი“) ბაჩანა ბრეგვაძე ასე იწყებს: „თავის დიდებულ ფრესკაზე „ათენის სკოლა“ რაფაელი გვიხატავს პლატონს, რომელსაც ხელში უჭირავს „ტიმეოსი“... უკვე პლატონის უშუალო მოწაფეები „ტიმეოსს“ მიიჩნევდნენ თავიანთი მოძღვრის მთავარ ქმნილებად“...

თვითონ ბაჩანა ბრეგვაძის მთავარ ქმნილებად, ალბათ, სწორედ ეს ნაშრომი უნდა მივიჩნიოთ.

თუმცა, ადვილი შესაძლებელია, სხვამ ასეთად „პლატონური დიალექტიკის შედეგი“ აღიაროს...

რა შანსი გაუშვეს ხელიდან ცნობილმა ქართველმა მხატვრებმა?!

გონებისა და ინტელექტის რა სიღრმეებს, კეთილშობილი სულის რაოდენ მშვენიერებას დაიტევდა ბაჩანას პორტრეტი?!

ცოდნა და მასალა

არათუ თარგმანებსა და კომენტარებში, არათუ მონუმენტურ გამოკვლევებში, „უბრალო“ შენიშვნებშიც კი იმდენი ცოდნა და მასალაა, გაოცდები.

ერთი მაგალითი:

„დონ კიხოტის“ პირველი წიგნის „შენიშვნებში“ **ლამანჩა** უნდა განმარტოს.

აი, განმარტებაც (მთლიანად მოვიყვან, მჯერა, მკითხველს არ მოსწყინდება):

„ლამანჩა (ლა მანჩა) — „ხალსა“ თუ „ლაქას“ ნიშნავს ესპანურად. ესპანეთის ერთ-ერთი ისტორიული ოლქი; ადმინისტრაციულად შედიოდა ახალი კასტილიის შემადგენლობაში (სამხრეთ ესპანეთი)“...

ზოგისთვის ეს განმარტება სრულიად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ის ბაჩანაა და აგრძელებს:

„სახელგანთქმული თავისი ზვრებით და ღვინოებით (ვალდეპენიასი, მანსანარესი, ალბასეტე, სიუდად რეალი, კალატრავა)... „ლამანჩის **ერთ-ერთ სოფელში...**“ — ამ სიტყვებით იწყება ერთი პოპულარული ხალხური რომანსი... „რომლის **სახელის გახსენებაც არა მსურს...**“ — სერვანტესი შეგნებულად არ ასახელებს ლამანჩის ერთ რომელიმე კონკრეტულ სოფელს“...

აქ შევწყვეტ, არადა, ნახევარიც არ გადმომიწერია. რატომ არ ასახელებს? — ამ კითხვის პასუხი დაინტერესებულმა მკითხველმა თვითონ მოძებნოს.

მისტიურ ნისლში?!

„პლატონური პრელუდიები“ ჰქვია ბაჩანა ბრეგვაძის ნაშრომს, რომელშიც განთქმული დიალოგებია განხილული.

ერთ-ერთი „პრელუდია“ სიქველის არსის გარკვევას ეთმობა (დიალოგი სოკრატესა და სოფისტ მენონს შორის).

აქ ვკითხულობთ:

„დიალოგის დასკვნითი ნაწილიდან ვგებულობთ, რომ სიქველე იგივე „ღვთაებრივი ხვედრია“, რომელიც „ღვთაებრივი წილისყრით მიემადლება კაცს. პლატონის აზრი აქ საბოლოოდ იძირება მისტიურ ნისლში“...

ბაჩანასეულ სიღრმეებს ვინ ჩასწვდება, მაგრამ ის კი ურყევად მჯერა, რომ მისი სიქველის ნაყოფი ნისლში არასოდეს ჩაიძირება.

მთაწმინდელი

„ათონელები და მთაწმინდელები რომ იყვნენ, იმათი დონის მოღვაწე და მოაზროვნეა“, — მითხრა ზემოხსენებული „ბიობიბლიოგრაფიის“ წარდგინებაზე ბატონმა ემზარ კვიტაიშვილმა.

ავიდა კიდეც მთაწმინდაზე...

* * *

და, მაინც: რა ადვილად ვეგუებით ასეთი პიროვნებების წასვლას, თითქოს, ბევრი გვყავდეს...

ერთი წელიწადი გასულა...

იოსებ ჟუმბურიძე

◎ სულიერება



ხორციელის შაბათი, მიცვალებულთა ხსენება

18 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს და ლოცვას აღალვნეს ღვთის მიმართ მიცვალებულ მოყვასთა სულის საოცად.

ქრისტიანული მრწამსით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული კი არ ისპობა, არამედ გარდაიცვლება — შეიცვლის მდგომარეობასა და ადგილსამყოფელს. ლოცვებითა და მოწყალების გაღებით მიცვალებულთა სულებს უმსუბუქდებათ ის ცოდვები, რომლებიც ვერ მოინანიეს სიცოცხლის განმავლობაში...

დღეს, ხორციელის შაბათს, ვევედრებით უფალს, განუსვენოს მიცვალებულთა სულებს მართალთა თანა; ეს დღე მსოფლიო შაბათით არის ცნობილი.

* * *

19 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ხორციელის აღებით ხვდება.

ხორციელის აღება ხორციელის შვიდეულის ბოლო დღეს, კვირას ხდება. შემდეგი შვიდეული — ყველიერია, მისი შემდეგი კი — დიდი მარხვის პირველი შვიდეული.

* * *

19 თებერვალს საქართველოს წმინდა მართმლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს საშინელი სამსჯავროს დროს.

...ცნობილია, რომ სახარებისეული მოძღვრებით, სამსჯავრო, რომელსაც მოაწყობს იესო ქრისტე მეორედ მოსვლის დროს. სახარების სიტყვებით **„არცაღა მამაი სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა... და ხელმწიფებაი მისცა მას სასჯელისასა ყოფად, რამეთუ ძე კაცისაი არს“.**

იესო ქრისტეს მიერ განისჯებიან ცოცხლები და მკვდრები, აგრეთვე ბოროტნი და **„ყოველი საქმეი და სიტყვა უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყვაი მისთვის დღესა მას სასჯელისასა“.**

მსაჯული მართალი ეტყვის: **„დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფველი დასაბამითგან სოფლისაით“**, ხოლო ცოდვები მოისმენენ ასეთ განაჩენს: **„წარვედით, წარვედით ჩემგან, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და მსახურთა მისთა“.**

გიული ლიპარტია

რუსთავში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 21 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა

რუსთავში მე-19 მიკრორაიონში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 21 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა.ოჯახის სამი წევრი, მათ შორის მისი მეუღლე, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

◎ ინტერნეტიდან

შსს-მ ე.წ. „კანონიერი ქურდი“ დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი გ.გ., კანონიერი ქურდობის ბრალდებით, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გ.გ. 1981 წლიდან ე.წ. „ქურდულ სამყაროში“ აღიარებულია „კანონიერ ქურდად“. სამართალდამცველებმა იგი იმ დროს დააკავეს, როდესაც სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოდიოდა.

ROCA DAAVADEBA UKAN IKEVS

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით **1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლსახსრის, მენჯრ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

◎ ვერნისაჟი

„ჩემი გამოფენა ჩემი ცხოვრებაა“

გუშინ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა თეატრისა და კინოს მხატვრის ანა კალატოზიშვილის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „ჩემი გამოფენა ჩემი ცხოვრებაა“.

გამოფენაზე წარმოდგენილია კონცერტუალური თემატიკით გაერთიანებული ნამუშევრები. ანა კალატოზიშვილის ჩანაფიქრით, თეატრი, ხელოვნება და ზოგადად ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება თამაშს ჰგავს, რომელსაც მასში მონაწილე ადამიანები თამაშობენ. მხატვარი თვლის, რომ ყოველი ჩვენგანი მოთამაშეა, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი, გახდეს ხელოვანი. ყოველივე ეს, მხატვრის ცხოვრებაა, რომელსაც ის გამოფენაში ასახავს.

ანა კალატოზიშვილი სწავლობდა ავსტრიაში, ვენის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თეატრის ფერწერის ფაკულტეტი. მუშაობდა სპექტაკლებზე საქართველოს თეატრებში. აფორმებდა სპექტაკლებს იტალიასა და ჰოლანდიაში. კინოში მუშაობდა კოსტიუმების მხატვრად, ოთარ იოსელიანთან („შანტრაპა“, „ზამთრის სიმღერა“). მხატვარია ფილმებისა „ცხრა მთას იქით“, „მოირა“ და სხვ. არის პედაგოგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციებს თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში, მუშაობდა სატელევიზიო გადაცემებზე.



ანა კალატოზიშვილი ბევრ ჯგუფურ საერთაშორისო გამოფენასა და სიმპოზიუმში მონაწილეობდა გერმანიაში, ავსტრიაში, სანქტ-პეტერბურგში, თბილისში. ასევე ჰქონდა პერსონალური გამოფენები. მისი ნამუშევრები ინახება მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში. დაჯილდოებულია პრიზებით ფესტივალზე „დურუჯი“, ხელოვნების ფესტივალ „პარნასზე“ და სხვა.

გამოფენა 7 მარტამდე გასტანს.

ელგუჯა ნადარეიშვილი,
ავტორის ფოტო.

◎ ინტერნეტიდან

დი მარიას ორი გოლი და ერთი ცოლი

მაშინ, როდესაც არგენტინელი ანხელ დი მარია კატალონიის „ბარსელონასთან“ ინტიმურ ურთიერთობებს არკვევდა, ანხელის ცოლი იორგელინა კარდოსო კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა რომ მისი ქმრის გადაწყვეტილება სათამაშოდ პარიზულ კლუბში დარჩენასთან დაკავშირებით სწორი იყო და პრაგმატული.

არადა, გასულ ზაფხულს, იორგელინა ფრანგ „ყვითელ“ მოკალმეებთან საუბარში იძახდა, რომ იგი დიდ პატივს სცემს „პსჟ“-ს და ამ კლუბის ქომაგიცაა, მაგრამ სჯეროდა, რომ ანხელ დი მარია კიდევ უფრო უკეთეს კლუბს იმსახურებდა და საფეხბურთო თვალსაზრისით საუკეთესო წლების საფრანგეთში გატარება არ ღირდა. ახლა როგორც ვვარაუდობთ, ანხელის მეუღლეს პოზიციის შეცვლა შეიძლება მოუწიოს.

აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ანხელ დი მარია ნამდვილად არ ჰგავს იმ ცნობილ ფეხბურთელებს, რომლებსაც ცოლად მოდელები და მსახიობები მოჰყავთ. დი მარიას იორგელინა ბავშვობიდან მოყოლებული უყვარდა და სწორედ იმიტომაც გააცოლა ეს ქალი. სიყვარული კიდევ, რკოსავით დაბლა არასოდეს ყრია...

როსტომ რაჭველიშვილი

გილოცავთ!

გურამ სიჭინავა – 80

გილოცავთ ძვირფას თარიღს, დაბადების 80 წლისთავს შენს ძვირფას მეუღლესთან, შვილებთან, რძალთან, სიძესთან, შვილიშვილებთან ერთად, გისურვებთ ჯანმთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას!

დალი, ბადრი ბარკალაიები ოჯახით.

ცოცხალი ბუნების მშვენიერება

ნაკრძალი – ესაა ადამიანის ნებისმიერი სახეობის მოღვაწეობისთვის აკრძალული ტერიტორია. ნაკრძალები ცხოველებისა და მცენარეების დასაცავად იქმნება, რომლებსაც სრული ან ნაწილობრივ გადაშენება ემუქრებათ, ასევე უნიკალური ლანდშაფტების შესანარჩუნებლად და ადამიანის მიერ დაურღვეველ ბუნებრივ პირობებში მიმდინარე პროცესების შესასწავლად.

გარემოსა და ველური ბუნების დაცვის შესახებ პირველი კანონი ჩ.წ.ა.-მდე მე-3 საუკუნეში კუნძულ შრი-ლანკაზე იქნა მიღებული, როცა ხელმწიფე დევანამპიატისამ მსოფლიოში პირველი ნაკრძალი შექმნა. მე-16 საუკუნეში ბუნებრივი სიმდიდრის დასაცავად პირველი ნარკძალებიც გაჩნდა, მაგრამ პირველი ეროვნული პარკი ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულს შეიქმნა.

ნაკრძალებში არა მარტო ცოცხალ ბუნებას – ფლორასა და ფაუნას, არამედ წყალსაც და ნიადაგსაც იცავენ. მათ ტერიტორიაზე აკრძალულია ნადირობა, თევზაობა, საცხოვრისების აშენება, მიწის ხვნა და ბალახის თიბვა, არ შეიძლება სოკოსა და კენკრის მოკრეფაც კი.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ნაკრძალი აფრიკაშია, იგი 44 მილიონ ჰექტარ ფართობს მოიცავს და ხუთი სახელმწიფოს – ზიმბაბვეს, ზამბიის, ანგოლის, ნამიბიისა და ბოტსვანას ტერიტორიაზეა განთავსებული.

ეროვნული პარკები, ჩვეულებრივ, ბუნების ულამაზესი ლანდშაფტების არეებში მდებარეობს და უამრავ ტურისტს იზიდავს. ისინი ხშირად ამა თუ იმ ქვეყნის სადარბაზო ბარათს წარმოადგენენ.

პაპის ნაჭამმა ქლიავმა...

მამის ასაკსა და ცხოვრების ნირზე მისი მომავალი შვილების ჯანმრთელობაა დამოკიდებული, დაადგინეს ამერიკის ჯორთაუნის უნივერსიტეტის მეცნიერებმა.

აღმოჩნდა, რომ მამაკაცის ცხოვრების წესს შეუძლია მისი სპერმის დნკ-ში ცვლილებების გამოწვევა და, შესაბამისად, ბავშვის გენომზე ზემოქმედება.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ თუ მამა ლოთია, ახალშობილს შესაძლოა, ფეტალური ალკოჰოლური სინდრომი აღმოაჩნდეს. იმის მიუხედავადაც კი, რომ მის დედას მაგარი სასმელები ცხოვრებაში არც დაუგემოვნებია. გარდა ამისა, მამების მიერ სპირტიანი სასმელების მიღება დაკავშირებულია დაბადებისას ბავშვის სხეულის მასისა და თავის ტვინის ზომის შემცირებასა და გონებრივი განვითარების დარღვევასთან. მამის ხანდაზმული ასაკის შვილებში აუტიზმისა და შიზოფრენიის რისკს ზრდის.

ამასთან, მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ყმაწვილურ ასაკში მამის კვების რეჟიმს შეუძლია შვილებსა და შვილიშვილებში გულით სიკვდილის რისკის გაზრდაც და შემცირებაც. მამის გასუქება ასევე დაკავშირებულია მომავალი შვილების მეტაბოლიზმის დარღვევასთან, სიმსუქნესთან და დიაბეტის წარმოშობასთან. ყველაფერთან ერთად მამის ფსიქოლოგიური სტრესი იწვევს შთამომავლობაში ყოფაქცევითი პრობლემების წარმოშობას.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6419; ევრო - 2.8089;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3063;
100 რუბლი - 4.6168; თურქული ლირა - 0.7184;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4930;
1000 სომხური დრამი - 5.4304.

ამინდი 18 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -10, დღე +7
მთიანი რაიონები - ღამე -20, დღე -4
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -8, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -12, დღე +5
თბილისი: ღამე -6, დღე +5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge